

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მარიამ გელაშვილი

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების პრობლემები  
თანამედროვე ქართულ სამართალში

სამაგისტრო პროგრამა - სამართალი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გია მეფარიშვილი - კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2020

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების პრობლემები თანამედროვე  
ქართულ სამართალში

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეხება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების პრობლემებს, რაც მათთვის დამახასიათებელი სოციალურ და სამართლებრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ერთ-ერთ რთულ ინსტიტუტს წარმოადგენს თანამედროვე ქართულ სამართალში. ნაშრომი მოიცავს ერთობ საინტერესო და ამასთანავე, ზოგიერთ განსხვავებულ მოსაზრებას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე, აგრეთვე მითითებული საკითხის რეგულაციასთან დაკავშირებულ ნორმათშემოქმედებით მიდგომებს, რაც დაფუძნებულია პრაქტიკის ღმა ანალიზსა და მცირე ოდენობის მეცნიერული ნაშრომების კვლევაზე, შესაბამისად მასში კომპლექსურად ძირითადი, პრინციპული დებულებებია გადმოცემული და შედარებულია ეროვნულ დონეზე არსებული მიდგომები საერთაშორისო დონეზე ცნობილ მოდელებს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაკეთებულია შედარებითი ანალიზი, ამასთან შემოთავაზებულია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სრულყოფილსათვის. იმისათვის, რომ კვლევა ღირებული და მნიშვნელოვანი გამოსულიყო, ნაშრომი ეფუძნება ისეთ კვლევის მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოცემული ინსტიტუტის ფუნქციონირების გაანალიზება, მასთან დაკავშირებული რისკ - ფაქტორების კრიმინოლოგიური შეფასება და განსაზღვრა თუ რამდენად მიღწეულია მათი გამოყენებისას სასჯელის მიზნები. აგრეთვე, მითითებულ კონცეპტში ყურადღება გამახვილებულია იმ ასპექტზეც, თუ როგორ ხდება კომპლექსური მიდგომა ინდივიდუალურად თითოეულ მსჯავრდებულზე, მხედველობაში არის თუ არა

მიღებული მხარდამჭერი პირის ან პირების მდგომარეობა, რომელმაც საერთო ერთი მხრივ უნდა შექმნას სტაბილურობის გარანტი, რათა მსჯავრდებულის მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელებას, ან დანაშაულის ჩადენის მცდელობას.

## **Problems of Exemption from Serving a Sentence in Georgian Modern Law**

### **Annotation**

The present paper concerns the problem of exemption from serving a sentence, which is one of the most difficult institutions in Georgian modern law, taking into account its social and legal peculiarities. The paper includes some interesting and at the same time some exceptional views on the use of legal mechanisms to exempt from serving a sentence, as well as the normative approaches related to the regulation of the issue, based on in-depth analysis of practice and research of few scientific papers.

Accordingly, the paper represents a complex set of basic, scrupulous provisions, and the national level approaches are compared to internationally known models, on the basis of which a comparative analysis is performed. Related to this are made the proposals of a recommendatory nature in order to improve the regulation of legal relations.

In order for research to be valuable and important, the paper is based on research methods that can be used to analyze the functioning of a given institution, criminological assessment of the risk factors associated with it, and determining how well the goals of punishment have been achieved when using them.

The concept also focuses on how a complex approach is applied individually to each convict, whether the condition of the support person(s) is taken into account, that, on the one hand, must provide a guarantee of stability, that the convict does not commit an unlawful and criminal act or attempt to commit a crime.

## ს ა რ ჩ ე ვ ი :

შესავალი .....	5
თავი I.....	9
სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების არსი .....	9
თავი II .....	12
სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების ზოგადი დახასიათება .....	12
2.1სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება .....	12
2.2სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლა .....	29
2.3სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლა .....	39
თავი III .....	50
სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმებისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების ზოგადი მიმოხილვა.....	50
თავი IV .....	56
სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შედარებითი ანალიზი.....	56
დასკვნა : .....	70
ბიბლიოგრაფია:.....	73

## შესავალი

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივ პრობლემებს თანამედროვე ქართულ სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სწორედ ესაა გამოვლინება იმისა, რომ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფო იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის სამართლებრივი ღონისძიებების ან მათი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების სხვა მეთოდსაც, რომელიც ე.წ. „წამახალისებელ“ ნორმებშია რეგულირებული. სწორედ „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმები არეგულირებენ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს, მათი განხორციელების კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს. მეცნიერების ნებისმიერ სფეროში არის პრობლემები, რომელთა მიმართ ინტერესი მუდმივია და არ არის დამოკიდებული თეორიული ორიენტაციებისა და პარადიგმების ცვლაზე. თანამედროვე ქართულ სამართალში კი ერთ-ერთ ასეთს სწორედ მითითებული საკითხი წარმოადგენს. მეცნიერული კვლევის ეტაპზე აუცილებელია მათი სწორად გააზრება. პრაქტიკულ საქმიანობაში კი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივ მექანიზმების მომარჯვებასა და გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასჯელის მიზნების მიღწევადობის კუთხით.

### **აქტუალობა.**

სამართლებრივი თვალსაზრისით, კვლევის აქტუალობა საკმაოდ დიდია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. იურიდიულ ლიტერატურაში დღემდე არ არის ერთიანი მოსაზრება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების ეფექტური გამოყენების თაობაზე. დასახელებული თემის შესახებ თანამედროვე ქართული იურიდიული ლიტერატურის სიმწირის მიუხედავად, წარმოდგენილ ნაშრომში კომპლექსურად ძირითადი, პრინციპული

დებულებებია გადმოცემული. თემის მრავალსპექტიანობის გამო ცალკეული კონცეპტების ზედმიწევნით განხილვა შეუძლებელია, მაგრამ წარმოდგენილია პრობლემატური საკითხების ანალიზი, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნებისა და წინადადებების სახით, რომელიც გარკვეულწილად გაუადვილებს საკითხით დაინტერესებულ პირებს უფრო სწორად და დეტალურად წარმართონ ამ მიმართულებით მეცნიერული თუ პრაქტიკული საქმიანობა.

აგრეთვე, ხაზგასასმელია ისიც, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკის ლიბერალიზაციის კვალდაკვალ არ მოხდეს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმების არასწორი განხორციელება და იმ რეზულტატამდე მისვლა, რასაც ახალი დანაშაულის ჩადენა ჰქვია, ამიტომ საჭიროა მათი ეფექტური ფუნქციონირება, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ ხსენებული საშუალებების სამართლიანობის პრინციპზე აგებასთან, ასევე სწორ სამართლებრივ რეგულაციასთან და გადაწყვეტილების მიღების წესის დახვეწასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ამ ინსტიტუტთან არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და დისკუსიები გაანალიზებასა და განხილვას საჭიროებს, მით უფრო იმ ფონზე როცა ქართული საკანონმდებლო რეგულაციაც მთლად სახარბიელო არ არის და მოითხოვს შესაბამისი კორექტირების შეტანას, ამას ემატება ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების კუთხით არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობაც შეინიშნება.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

- 1.წინამდებარე ნაშრომში განხილული სასჯელის მიზნებისა და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების ურთიერთმიმართება;
- 2.შემოთავაზებულია სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ავტორისეული განმარტება;

3. დადგენილია, ნორმათშემოქმედებითი თვალსაზრისით მოსაზრება, თუ რამდენად მიზანშეწონილია, პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის უმთავრესი დეტალის - გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის - რეგულირება კანონქვემდებარე აქტით;

4. შემოთავაზებულია ინიციატივა საკვლევ თემასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ნორმების მოწესრიგების, დახვეწის მიზნით. ასე მაგალითად, არ არსებობს რეგულაცია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილ ორ განაჩენზე, სანამ არ მოხდება მათი გაერთიანება არ უნდა იქნეს განხილული მის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების, ან თუნდაც სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი. აგრეთვე, წარმოდგენილია იდეა, რომ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებს დაემატოს კიდევ ერთი სახის შეფასებითი საშუალება, შეფასებითი ნიშანი.

### **ნაშრომის მიზანი**

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გარდა ამისა, მოახდინოს სისხლისსამართლებრივი, ასევე ფილოსოფიური თვალსაზრისით შეფასება სასჯელის მიზნებთან მიმართებით, ამასთან, კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულ იქნას განსხვავებულ მიდგომებთან დაკავშირებით



საკანონმდებლო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების პრაქტიკის ანალიზი, ის გზები, რომელიც იდენტიფიცირებას ახდენს მათი არსებობის ფაქტორების, რომლებიც ერთგვარ საშუალებებს შესაძლოა წარმოადგენდნენ პრობლემის გადაჭრის კუთხით. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება მოცემული კონცეპტის მთავარ საკვლევ თემაზე, კერძოდ, ხომ ხელს არ უშლის სასჯელის მოხდისაგან გათვისუფლების ცალკეული მექანიზმების გამოყენება სასჯელის მიზნის მიღწევას?

### **ნაშრომის ამოცანა**

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შეხედულებების შესწავლა და პრობლემურ თემებთან მიმართებით კითხვებზე პასუხის გაცემის გზით კვლევის მიზნის მიღწევა, ამასთან, უცხო ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევა და რეკომენდაციების გაცემა საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგების კუთხით.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

თემის ინტერდისციპლინარული ხასიათის გათვალისწინებით, მისი სრულყოფილად გამოკვლევისათვის საჭირო გახდა არაერთი კვლევის მეთოდის გამოყენება. კერძოდ, ესენია: ისტორიული, ფორმალურ - ლოგიკური, დოგმატური, ასევე, შედარებით - სამართლებრივი და სხვა მეთოდები.

## თავი I

### სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების არსი

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გადატვირთულობა ბევრ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს, აღნიშნულით კი იძულებულია ხელისუფლება იმსჯელოს სასჯელის განსაზღვრის პოლიტიკაზე შეზღუდოს ან შეამციროს პატიმართა რაოდენობა. ამგვარი ინიციატივა დაფუძნებულია „წინა კარისა“ და „უკანა კარის“ სტრატეგიაზე. რაც გულისხმობს მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისა (წინაკარის სტრატეგია) და პირობით ვადამდე გათავისუფლების (უკანა კარის სტრატეგია) მეშვეობით.<sup>1</sup>

ვფიქრობ, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სახეების არსებობა დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის გამოვლენის ნათელი მაგალითია და სრულიად ბუნებრივია, ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას თუ რატომ ენიჭება მოცემულ ინსტიტუტს მნიშვნელობა სასჯელის მიზნის მიღწევადობის კუთხით. მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელისაგან გათავისუფლების ცალკეული სახეების არსებობა არის ერთგვარი შანსი თავისუფლების მოპოვებისა და სოციუმში დაბრუნების, ხოლო მეორე მხრივ, ეს პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვის საუკეთესო საშუალებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გადატვირთულ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია რთულია, ხოლო ალბათობა იმისა, რომ არარესოციალიზებული პირი გათავისუფლების შემდეგ განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს მაღალია. სწორედ ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო მიმართავს დასახელებული კონცეპტის სხვადასხვა ინსტიტუტს. მართალია, თითოეული მათგანი განსხვავდება

---

<sup>1</sup> Dunkel, Kommentierung§57,StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeff-gen (eds) Nomos Kommentarzum Strafgesetzbuch.Vol.1 (3<sup>rd</sup>edn.). Baden-Baden: Nomos VERLAG 2010.

ერთმანეთისაგან საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიხედვით, თუმცა მათი მოქმედების მიზანი არის საერთო.

ვიდრე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცალკეული სახეების კვლევაზე გადავალთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია თვითონ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების არსის განსაზღვრასთან. უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ცნებისაგან განსხვავებით, მისი მეცნიერულად დამუშავებული ზოგადი ცნობის ნაწილი იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს, ამასთან, არც სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული არ გვაქვს. სამართლებრივ აქტში მხოლოდ გვხვდება XIV თავის სახელწოდებად სასჯელისგან გათავისუფლება, შემდეგ მოცემულია სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცალკეული სახეების ჩამონათვალი და მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, რომელთაც შეიძლება ერთგვარი წინაპირობებიც კი ვუწოდოთ.

ერთადერთ ხელჩასაჭიდს დოგმატიკაში ზურაბ გოთუას შეხედულება წარმოადგენს, რომელიც აღნიშნავს, რომ სასჯელისაგან გათავისუფლება შეიძლება იყოს პირობითი ან უპირობო, რაც გულისხმობს იმას, რომ პირს ეკისრება თუ არა რაიმე ვალდებულება გათავისუფლების შემდეგ.<sup>2</sup> ვფიქრობ, მოცემული ახსნა შესაძლოა წარმოადგენს სასჯელისაგან გათავისუფლების ცნების მიახლოებულ სახეს მისივე შინაარსიდან გამომდინარე, თუმცა მას ვერ ვუწოდებთ დეფინიციას და არც იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ მოცემული აზრი თითქოს მეცნიერის მცდელობაა განმარტოს ხსენებული სამართლებრივი საკითხი.

ჩემი აზრით, სასჯელისაგან გათავისუფლება არის სისხლის სამართლებრივი ღონისძიების ის სახე, რომლის საფუძველზეც მსჯავრდებული თავისუფლდება დარჩენილი, ანუ მოუხდელი სასჯელის ნაწილისაგან რაიმე სახის მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ ან პირიქით შებოჭილი არა სამართლებრივი აქტით

---

<sup>2</sup>ზ.გოთუა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წელი, გვ: 90-91.

განსაზღვრული ქმედებების შესრულებისგან. გარდა ამისა, ეს არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცემული მსჯავრდებულის უფლება, რომლის საშუალებითაც ხდება საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესი.

რადა თქმა უნდა, ზემოხსენებული ავტორისული განმარტება შესაძლოა არ იყოს სრული და დეტალური, თუმცა სისხლის სამართლის დოგმატიკაში ერთ-ერთი პირველი მცდელობაა სასჯელისაგან გათავისუფლების დეფინიციის განსაზღვრის შესახებ, რომელიც მომავალში მითითებული საკითხით დაინტერესებულ პირს დაეხმარება კიდევ უფრო მეტად დახვეწოს და ჩამოაყალიბოს ცნება სისხლის სამართლის თეორიაში. ე.ი. უპრიანი იქნება, თუ ეს საკითხი მეცნიერთა კვლევის ობიექტად იქცევა და არაერთი მოსაზრების გაანალიზებით შემუშავებული იქნა მისი ზუსტი განმარტება.

## თავი II

### სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმების ზოგადი დახასიათება

#### 2.1 სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვანი პრობლემაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისათვის, განსაკუთრებით, დაწესებულების ადმინისტრაციისთვის როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ისე სასჯელადსრულების ინსტიტუტების ეფექტურად მართვის კუთხით.<sup>3</sup> ეს პრობლემა უბიძგებს სახელმწიფოს იზრუნოს მსჯავრდებულთა გათავისუფლების ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრაზე. 1847 წელს ფრანგმა ა. ბონევილ დე მარსანჟიმ შექმნა ადრე უცნობი სამართლებრივი მოდელი - პირობით ვადამდე გათავისუფლება, რომელიც გულისხმობდა მსჯავრდებულის გათავისუფლებას სასჯელის გარკვეული პერიოდის მოხდის შემდგომ, მომავალში დამაკმაყოფილებლად ქცევის პირობით. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დაბრუნებას და სხვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის აღსრულებას განაპირობებს მსჯავრდებულის არასწორი ქცევა და დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა. აღნიშნული დეფინიცია მცირეოდენი ცვლილებებით თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. ამ ინსტიტუტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში კარგი ქცევა, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებას და ზედამხედველობას.

---

<sup>3</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია No.R (99)22, ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა.

ამგვარი პირობით გათავისუფლება განსხვავდება ავტომატური გათავისუფლებისაგან, რომელიც მოსდევს სასჯელის მოხდას და მიმართულია მსჯავრდებულთა რიცხვის შემცირებისაკენ.<sup>4</sup>

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა შეიცვალა. 2006 წლამდე პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მსჯავრდებულთა პირად საქმეს წარუდგენდა სასამართლოს. 2006 წლიდან ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვათ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას გადაეცა, რომელიც ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქციას ასრულებდა, განიხილავდა ყველა მსჯავრდებულის საქმეს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საჭირო მინიმალური სასჯელის ვადა მოიხადა და იღებდა გადაწყვეტილებას, რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს 2009 წელს უკვე იხილავდა მუდმივმოქმედი კომისია. რაც შეეხება ადგილობრივ საბჭოებს, 2010 წლიდან იხილავენ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს. ამასთან, მოქმედებდა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც მაკონტროლებელ რგოლს წარმოადგენდა საბჭოსათვის. კერძოდ კი, სამ თვეში ერთხელ გაწეული საქმიანობის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისათვის ანგარიშის წარდგენისა და მათ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობის ვალდებულება დაუწესა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქცია, განეხილა იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოების განხილვისას უარი ეთქვათ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და მიეღო ადგილობრივი საბჭოებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, რაც ზემდგომი იურიდიული ძალის იყო და პირი დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ექვემდებარებოდა. 2014 წლიდან კი მუდმივმოქმედი კომისია გაუქმდა და საბჭო გახდა ადმინისტრაციული

---

<sup>4</sup> ქ.პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, ქ. სუმბათაშვილის თარგმანი, რედ. თ.ნინიძე, თბილისი, 1999, გვ:467.

ორგანო.<sup>5</sup>ე.ი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გამოვყოთ ცვლილებების შემდეგი ოთხი ეტაპი:

1. 2006 წლამდე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი წარადგენდა მსჯავრდებულთა საქმეს სასამართლოს წინაშე ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით;
2. სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორებს 2006 წლიდან ჩამოერთვათ შუამდგომლობის წარდგენის უფლება. სასჯელადსრულების დეპარტამენტში შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, როგორც შუამავალი რგოლი სასამართლოსა და მსჯავრდებულს შორის. პატიმრობის კოდექსის 68-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულებს უფლება ჰქონდათ შუამდგომლობით მიემართათ მუდმივმოქმედი კომისიისთვის. ეს უკანასკნელი აფასებდა გარკვეულ გარემოებებს და იღებდა გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე სასამართლოსათვის წარდგინების შესახებ.
3. 2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაანაცვლა. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხის განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა სასამართლო.
4. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი პატიმრობის კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი ეს სისტემა და შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დაევალებათ. ე.ი. სასამართლო რგოლი,

---

<sup>5</sup>გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012, გვ:130-131.

ფაქტობრივად ამოვარდა მოცემული პროცესიდან, მან შეინარჩუნა მხოლოდ სააკველაციო ფუნქცია.

2018 წლიდან დაიყო მსჯავრდებულები საშიშროების რისკის მიხედვით და მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა პატიმრობის კოდექსში, კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები აღარ იხილავენ მაღალი რისკის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს. ეს გარემოება წარმოადგენს ერთგვარ „ფილტრს“, რათა საბჭოების მუშაობა იყოს უფრო ეფექტური. ვინაიდან, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, რომელსაც მინიჭებული აქვს საშიშროების მაღალი რისკი პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის. ამასთან, მისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომყოფთათვის, აგრეთვე სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, პიროვნული თვისებების, ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის და დანაშაულის ჩადენის მოტივის, დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის, დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისა და რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით არის მაღალი. აქ ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულის სარეაბილიტაციო პროგრამებით დატვირთვა, რათა მოხდეს მისი სოციალიზაცია, შეიცვალოს რისკის სახე, სოციალიზაციის შემდეგ კი მოხდეს ამ პიროვნების ჯერ დესოციალიზაცია, შემდეგ კი რესოციალიზაცია, რათა სასჯელის მოხდის დასრულებისას იგი არ წარმოადგენდეს საფრთხეს სოციუმისათვის.

ჩვენს კანონმდებლობაში არსებული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა ავტომატური არ არის.

ჩვენი კანონმდებლობა ერთმანეთს უხამებს ავტომატიზმსა და დისკრეციულ პირობითობას. <sup>6</sup> მსჯავრდებულს შეუძლია ისარგებლოს პირობით ვადამდე

---

<sup>6</sup>ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, თბილისი, 2007, გვ:412.



გათავისუფლებით, მაგრამ კანონმდებლობა აწესებს გათავისუფლების დროს და საკითხის გადაწყვეტას აკისრებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იხილავენ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხებს. პრაქტიკაში საკითხის გაანალიზება, დადგა თუ არა მსჯავრდებულის გამოსწორების გზას ხდება სარეჟიმო მოთხოვნების, იგივე სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების შესრულების, მსჯავრდებულის ქცევის, მისი სამომავლო საქმიანობისადმი, ახლობლებისადმი, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულების საკითხის გარკვევით.

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის წინააპირობაა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს მოხდელი ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული საშელავათო ვადა, რომელიც დამოკიდებულია დანაშაულის კატეგორიაზე, მსჯავრდებულის ასაკზე და იმ გარემოებაზე, ხომ არ არის ჩადენილი პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მითითებული ჩანაწერი ეხება „სპეციალურ კატეგორიებთან“ მიმართებით არსებულ პირთა წრესაც, ესაა არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, ქალი მსჯავრდებულები და ა.შ. ე.ი. პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.<sup>7</sup>

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთათვის განსხვავებული საშელავათო ვადაა განსაზღვრული. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლისა და არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლის შინაარსი.

---

<sup>7</sup>მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ.ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ:252.

პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, თუ მსჯავრდებულმა, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს.<sup>8</sup> მითითებულ ნორმაში არაფერია ნათქვამი თუ რა ხდება განხილვის კუთხით იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილია ორი განაჩენი და არ არის ისინი გაერთიანებული. მოქმედი პრაქტიკის დაკვირვება ცხდაყოფს, რომ პენიტენციური დაწესებულებები არ შუამდგომლობენ 42-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სანამ არ მოხდება განაჩენთა ერთობლიობა და ეს სწორიცაა, ვინაიდან ფაქტობრივად ვადა ერთი განაჩენით შეიძლება მოხდელი ჰქონდეს, ხოლო მეორეთი არა, და არცაა სამართლებრივად სწორი ცალ-ცალკე იქნას გამოთვლილი საშელავათო ვადები, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საბჭო განიხილავს მსჯავრდებულის საქმეს, არ დაუკმაყოფილებს შუამდგომლობას და მაინც დაელოდება განაჩენთა გაერთიანებას, ან შესაძლოა გვექონდეს განსხვავებული შემთხვევაც დაუკმაყოფილდეს შუამდგომლობა იმ საქმეზე, რომლითაც მოხდელი აქვს საშელავათო ვადა და გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, თუმცა მეორე განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ისევ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოუხდეს დაბრუნება. ამიტომ ასეთი ქაოტური სამართლებრივი ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბება და მიიღება, რომელიც პირდაპირ გაწერს, ასეთ შემთხვევაში მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების განუხილველობის საკითხს.

სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვისას, სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებული გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გამოსაცდელი ვადით, თუმცა აქ არის ერთ-ერთი პირობაა,

---

<sup>8</sup>პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლი.

რომ მსჯავრდებულს ფაქტობრივად მოხდელი უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი. გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.<sup>9</sup> აქ ფაქტია, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო განსხვავებულია, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მსგავსი იმ სახელმძღვანელო პრინციპებთან, რომლითაც ადგილობრივი საბჭოები კონკრეტულ შედეგამდე გადიან. მამასადამდე, აუცილებელია აღინიშნოს იმ სამართლებრივ აქტზეც, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს წევრების საქმიანობის უშუალო მიმართულებას. კერძოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) დანაშაულის ხასიათი - აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;

ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში - აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური,

---

<sup>9</sup>სისხლის სამართლის კოდექსის 72<sup>1</sup> მუხლი.

ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიება იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას;

გ)მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნასამართლობა- აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარშულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონია ადგილი. ასევე თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო სანამართლევითი მსჯავრდებული;

დ)ოჯახური პირობები - აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;

ე)მსჯავრდებულის პიროვნება - აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.<sup>10</sup>

---

<sup>10</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.

მსჯავრდებულთა შეფასება ხორციელდება თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღება უკვე შეფასებული კრიტერიუმების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სწორედ მოცემული კრიტერიუმები იძლევა საშუალებას განვჭვრიტოთ რისკ ფაქტორები, რომელთა ანალიზით დავადგენთ საზოგადოება რამდენად არის განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ იმ კონკრეტული დამნაშავისაგან, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება.

ვფიქრობ, მოცემულ ხუთ კრიტერიუმს აზრს მოკლებული არაა დაემატოს მეექვსე სახელმძღვანელო სტანდარტი, ესაა მონაცემები სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის სამეურნეო მომსახურებაში ჩართვის თაობაზე, ასევე ამორიცხვის შესახებ, თუ რა იყო საფუძველი იმის, რის გამოც მსჯავრდებული ვეღარ შეასრულებს აქამდე მისთვის დაკისრებულ საქმეს. ეს ერთგვარად სასამართლო პროცესის მსვლელობისას ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენელს გაუმყარებს პოზიციებს, რომელიც ადასტურებს, ამყარებს მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების მართებულობას და ხშირ შემთხვევაში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს - არსებულ ორ კრიტერიუმს დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს დაემატება ხსენებული კონცეპტი.

ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ ის საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია სამართალზომელობითი თვალსაზრისით მინისტრის ბრძანებით პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაყვეტა? ჩემი აზრით, თუ სასჯელის დანიშვნა წესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსით, მისი ეფექტიანობის შემოწმება არ უნდა ხდებოდეს მინისტრის ბრძანებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონი მიღებამდე მრავალსაფეხურიან, ბევრად უფრო რთულ გზას გადის და ერთგვარად სოციუმში მისდამი ნდობის ხარისხი მაღალია, ხოლო მეორე მხრივ, საორგანიზაციო დოკუმენტით „თამასის დაწევის“ რისკი აშკარაა, ვინაიდან მასზე დაყრდნობით დგება ის შედეგი, ე.ი. წყდება სისხლისსამართლებრივი

საკითხი, რომელიც ეცნობება მსჯავრდებულს ან/და კანონიერ წარმომადგენელსა და მსჯავრდებულს.

ადგილობრივი საბჭოს სხდომა არის 2 სახის: ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ შუამდგომლობებს. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე ტარდება მხოლოდ საბჭოს წევრების და საბჭოს აპარატის თანამშრომლის მონაწილეობით. ასევე, ხსენებული სამართლებრივი აქტის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება : ა)სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;

ბ)საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის მიზნით მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია;

გ)სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ<sup>11</sup>.

---

<sup>11</sup> „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.

იმ შემთხვევაში თუ საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაინიშნა ზეპირი მოსმენის სხდომა, წერილობით ეცნობება აღნიშნულის თაობაზე მსჯავრდებულს და მიწვეული იქნება ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად. 2019 - 2020 წლის მაისის თვის მონაცემებით, აღსანიშნია ზეპირ მოსმენათა ჩატარების რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოს მიერ ჩატარებულ ზეპირ სხდომათა რაოდენობის მატებას გასულ წლებთან შედარებით, თვით გლობალური პანდემიის ფონზეც კი ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის შეფერხებას ამ კუთხით, ვინაიდან ელექტრონული წესით ხდებოდა პროცესის წარმართვა. შესაძლოა გაჩნდეს სოციუმში კითხვა თუ რატომაა საჭირო ზეპირი მოსმენით სხდომის ჩატარება, როცა საბჭოს წევრებისთვის წარდგენილია საქმის მასალები - დახასიათება, რომელიც იძლევა საშუალებას მასში მითითებული მონაცემებით შეფასდეს პირი, ამაზე პასუხი მარტივია, რადგან ამ ფორმით საბჭო კიდევ ერთხელ რწმუნდება თუ რამდენად ნაწილობრივ მსჯავრდებული ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებას, არის თუ არა პირი მზად გათავისუფლდეს დარჩენილი სასჯელისაგან და მოხდეს მისი სოციალური ინტეგრაცია. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საბჭოსათვის წარდგენილ დახასიათებაში დამატებით ინფორმაციად დატანილია, რომ მსჯავრდებული ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, განიცდის მომხდარს, ღელავს იმ პერიოდზე, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა, თუმცა გასაუბრების დროს რეალობა სხვაგვარად ვლინდება. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ყველა შემთხვევას, გააჩნია კონკრეტულ საქმეს და მის გარემოებებს. ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საბჭოს წევრების მიერ დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღების არაერთი ფაქტი, ვინაიდან დამნაშავესა და დაზარალებულის ურთიერთობის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, უპირველესად იმიტომ, რომ ამით ხელი არ შეეწყოს შურისძიების ნიადაგზე ახალი დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, პრევენციის მექანიზმად დამნაშავესა და დაზარალებულს შორის არსებული დამაბული ურთიერთობის გაანალიზება გამოიყენება, თუმცა უნდა ითქვას, ისიც, რომ დაზარალებულის პოზიცია პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის

გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმთა ჩამონათვალში არ გვხდება, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო სტანდარტის სახით.

ნიშანდობლივია, მითითებულ თემასთან მიმართებით მსჯავრდებულის ოჯახის წევრის პოზიციაც, მათი მხარდაჭერა. სოციალური მუშაკების მიერ მსჯავრდებულთა ნებართვის საფუძველზე ხდება ოჯახისა და იმ, სპციალური პირობების შეფასება, რაც ერთგვარად იძლევა საშუალებას დანახულ იქნას რისკის დონე, რომელიც დაკავშირებულია მომავალში დანაშაულის განხორციელებასთან. მაგრამ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოებაც, რომ ოჯახის შეფასება ვერ ხდება საქართველოში არსებულ ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის. საბჭოს მხოლოდ აქვს ოჯახის შესახებ მონაცემები ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების, აგრეთვე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთა შესახებ. მიმაჩნია, რომ დანარჩენ საბჭოებსაც ამ მხრივ უნდა ჰქონდეს განსახილველი პირის შესახებ უფრო მეტი მონაცემების მიღების შესაძლებლობა, რაც მათ დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა კი დანაშაულთა პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის ადამიანური რესურსების გაზრდაა, ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში რეკომენდაცია გაცემულია ზეპირი მოსმენის ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმის განსაზღვრის შესახებ.<sup>12</sup> მიმაჩნია, ხსენებული საკანონმდებლო ინიციატივა პატიმრობის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე მიზანშეუწონელია,

---

<sup>12</sup>საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, 2019, გვ:56.



გამომდინარე იქიდან, რომ ჯერ ამით ხდება საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების დარღვევა, მისივე შინაარსიდან გამომდინარე, ამასთან, ყველა სავალდებულო კრიტერიუმი მოსალოდნელია ატარებდეს ზოგად ხასიათს, რომელთა გათავალისწინება დაუწერელი ნორმების საფუძველზეც ხდება.

რაც შეეხება სასამართლოს როლს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო ერთგვარ მაკონტროლებელ ფუნქციას ახორციელებს. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. 2018 წელს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს სამი გადაწყვეტილება:

ა) ძალაში დატოვოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა;

გ) ბათილად ცნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27<sup>1</sup> მუხლი.

ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გამოდის, ვინაიდან მისი მიღებისას არ ხდება გათვალისწინება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების - დანაშაულის ხასიათის, დანაშაულის სიმძიმის. გამომდინარე აქედან, არის შემთხვევები, როცა ადგილი აქვს არარესოციალიზებული მსჯავრდებულის გათავისუფლებასა და რისკ-ფაქტორების კრიმინოლოგიური ანალიზის ყურადღების მიღმა დარჩენას. მოდით განვიხილოთ მაგალითისათვის შემდეგი სამართლებრივი შემთხვევა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით ადგილობრივ საბჭოს დაავალა მსჯავრდებულ თ.დ გათავისუფლება და მიუთითა, რომ იზიარებს საბჭოს პოზიციას მსჯავრდებულის ნასამართლობის საკითხთან მიმართებით, თუმცა მიაჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, სასჯელის მიზნის მიღწევადობას და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საკითხებს. მსჯავრდებულს სურს ოჯახში დაბრუნება, ელოდება ავადმყოფი დედ-მამა, ასევე მიუთითა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომლის განკურნება სრულად მოხერხდა სასჯელის მოხდის პერიოდში. მას აღიარებული აქვს დანაშაული და ინანიებს კიდევაც.<sup>14</sup> მიმაჩნია, რომ სასამართლომ მოცემული საკითხის განხილვისას არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის წარშულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ამასთან, ის მონაცემი, რომ უკვე მის მიმართ ერთხელ იყო გამოყენებული სისლხისსამართლის კოდექსით გათვალისწინებული შეღავათი,

<sup>14</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის N3/5288-19 საქმეზე გადაწყვეტილება.

კერძოდ, ამნიისტის საფუძველზე გათავისუფლდა დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან, განმეორებით კი დანაშაული კი თითქმის 5 თვეშია ჩადენილი, ასევე მის მიერ განხორციელებულია მსგავსი ხასიათის დანაშაული. აგრეთვე მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ჩადენილი დანაშაულისათვის პირობითი სასჯელიც ჰქონდა განსაზღვრული და სწორედ საპრობაციო პირობების დარღვევისათვის გაუქმდა მის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი (3 არასაპატიო გამოუცხადებლობა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში). ამკარაა, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანომ არ გაითავლისწინა ის ფაქტი, რომ თუ პირმა სამჯერ დაარღვია საპრობაციო პირობები, არსებობს კი გარანტია პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში გამოცხადდება ხსენებულ ორგანოში და შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს საპრობაციო პერიოდში. მით უფრო, იმ პირობებში როცა მას ჰქონდა შესაძლებლობა გამოუცხადებლობის მიზეზი შეეტყობინებინა პრობაციის ოფიცირისათვის. ამგვარ შემთხვევებში, უპრიანი იქნება სასამართლოს კანონმდებლობით ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება და თვითონვე გაათავისუფლოს მსჯავრდებული სხდომის დარბაზიდან და არ დაავალოს საბჭოს გაათავისუფლოს პირი, რომლის მიმართაც საბჭოს რადიკალურად სხვა გადაწყვეტილება აქვს რელევანტური საფუძველით გამოტანილი, მაშინ, როცა ადგილობრივი საბჭო კოლეგიური ორგანოა, რომელმაც კრიტერიუმების მიხედვით იმსჯელა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება შინაგან რწმენაზე დაყრდნობით.

საინტერესოა, პრაქტიკული თვალსაზრისით, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება რ.დ მიმართ, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ, ძარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამასთან, მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევ იყო ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის განხორციელებისთვის

და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებული იყო პირობით ვადამდე. რ.დ. გასაჩივრებული ჰქონდა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ითხოვდა აქტის ბათილობას. მოპასუხე მხარემ მითითებული საკითხის განხილვისას მიიჩნია, რომ დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა ვერ გადაწონა თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები და დაასახელა პირობით ვადამდე გათავისუფლების უარის თქმის სამი საფუძველი: დანაშაულის სიმძიმე, დანაშაულის ხასიათი და წარსულში ნასამართლობა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე რ.დ. სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ არ დასტურდება მოპასუხის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით ან/და იმ მიზნის უფლებელყოფით, რა მიზნითაც საბჭოს მინიჭებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება, მოსარჩელის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის მხედველობაში მიღებით, სასამართლო სრულად დაეთანხმა რ.დ. პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, მით უფრო იმ ფონზე როცა სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შეღავათის მიუხედავად მის მიერ ისევ განხორციელებული იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.<sup>15</sup> ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სასამართლომ შერჩეული გადაწყვეტილების კანონიერება - დასაბუთებულობა მართებულად შეამოწმა, გარდა ამისა, სწორად შეაფასა თუ რამდენად მიღწეული იყო სასჯელის მიზანი. აშკარაა, ხსენებული საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისას მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს არ გაუჩნდა მაღალი ნდობა რ.დ. მიმართ, ვინაიდან არ იყო მიღწეული პირის კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევის მიზანი, რადგან მაღალი იყო რისკი იმისა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, თავიდან არ იქნებოდა აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა, ამ მოსაზრებას კი უფრო მეტად მოსარჩელის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის ფაქტი ამყარებს.

---

<sup>15</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის N3/6778-18 საქმეზე გადაწყვეტილება.

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოქცეულია დებულებით დაწესებულ ჩარჩოებში, რაც ნიშნავს იმას, რომ საბჭოს, მისი დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გააჩნია ცალკეული კრიტერიუმების შეფასების უფლებამოსილება, რომელიმე მათგანისთვის პრიორიტეტის მინიჭების შესაძლებლობაც კი, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს მის უფლებას უარყოს ან/და შეფასების მიღმა დატოვოს რომელიმე მათგანი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აქტის გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო დაავალებს მოპასუხე მხარეს ყველა გარემოების გამოკვლევას, შეფასებას და მათი ურთიერთშეჯერების შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადამინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემას. რაც შეეხება არაერთგვაროვან პრაქტიკის საკითხს, ეს მხოლოდ არ ეხება სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ეს ეხება ადგილობრივ საბჭოს მიერ მიღებულსაც, ყოფილა მომენტი, როცა ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები მიღებულა, საბჭოს ნაწილში მიზეზი შეიძლება იყოს საბჭოს წევრთა ინდივიდუალური დამოკიდებულება საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, ხოლო ორივე განმხილველ ორგანოსთან მიმართებით შინაგანი რწმენა, დიფერენციაცია მონაცემებს შორის, რომელიც მოცემულია პენიტენციური დაწესებულებებიდან შემოსულ დახასიათებებში.

## 2.2 სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლა

თანამედროვე სისხლის სამართალში არსებული კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკის მთავარი გამოწვევაა უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ჩანაცვლება ალტერნატიული სასჯელებით. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება- ultima ratio - „უკანასკნელ საშუალებად“ უნდა განიხილებოდეს.<sup>16</sup> შინაპატიმრობა საპატიმრო სასჯელის ჰუმანური და როგორც მსჯვარდებულის, ასევე სახელმწიფოსათვის უფრო მისაღები ალტერნატივაა. ამ სახის გამოყენებისას პირი მუშაობს ან სწავლას აგრძელებს და მატერიალურ სიკეთეს ან თავისი ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ცოდნის ბაზას ქმნის. ამგვარად, თავიდან იქნება აცილებული „კრიმინალური დასნებოვნება“.<sup>17</sup>

შინაპატიმრობა თავისი ბუნებით წარმოადგენს სასჯელის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მისი ასეთი გამოყენების რეკომენდაციას იძლევა გაეროს არასაპატიმრო ღონისძიების მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები).<sup>18</sup>

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელი, XX საუკუნის პირმშო არაა. შინაპატიმრობით ჯერ კიდევ 1600 წელს დასაჯეს გალილეო გალილეო. სასჯელის ამ სახის მასობრივი გამოყენება XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ტექნიკისა და შესაბამისად ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობის განვითარებას დაუკავშირდა.

<sup>16</sup> სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ.თოდუა, თბილისი, 2016, გვ:665.

<sup>17</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ: 62.

<sup>18</sup> მ. გორგოძე, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ - სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ: 92.

ექსპერიმენტები ადამიანის ელექტრონულ ზედამხედველობაზე ჯერ კიდევ 1964 წლიდან ტარდებოდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პირველი განაჩენი ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობით ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს იქნა გამოტანილი.<sup>19</sup>

ქართული კანონმდებლობა შინაპატიმრობას წლების წინ იცნობდა. 1923 წელს მიღებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა განმარტებული იყო, როგორც ბრალდებულის საკუთარ ბინაზე იზოლაცია დარაჯის დანიშვნით, ან უიმისოდ. იგი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის დამალვის საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო მისი იზოლირება, რათა მას ხელი არ შეეშალა გამოძიების მსვლელობისთვის.<sup>20</sup>

ახლა კი იგი „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის N146 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გულისხმობს სამართლებრივი აქტით დადგენილ, დღე-ღამის შესაბამის პერიოდში, მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე მის უწყვეტად ყოფნის ვალდებულებას.<sup>21</sup>

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ბრალდებულთან, ასევე უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებით არის სასამართლო, ხოლო თავისუფლებააღკვეთილ პირთან სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები.

---

<sup>19</sup> ი. ხერხეულიძე, პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის ანალიზი), მზია ლეკვიშვილი 85, საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი, 2014, გვ: 198.

<sup>20</sup> ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ: 109.

<sup>21</sup> „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის N146 ბრძანება.

მსჯავრდებულს, მის დამცველს/კანონიერ წარმომადგენელს (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, მისი დამცველისა/კანონიერი წარმომადგენლისა) უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა.<sup>22</sup>

იმისათვის, რომ მოხდეს მსჯავრდებულის მიმართ მითითებული საკითხის განხილვა მას გარკვეული პერიოდი უნდა ჰქონდეს გატარებული პენიტენციურ დაწესებულებაში, რაც თავისთავად გულისხმობს სასჯელის ფაქტობრივ მოხდას, ფაქტობრივი მოხდის ვადები კი დანაშაულის კატეგორიიდან გამომდინარე სხვადასხვაა, ამას ემატება ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგი გარემოებები. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

- ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
- ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი;
- გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;
- დ) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გათავისუფლდა, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე;

---

<sup>22</sup>პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლი.



ე) ორი მესამედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელსაც წინათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და შეცვლილი სასჯელი გაუქმდა ამ მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე.<sup>23</sup>

უვალო მსჯავრდებულს კი მოხდელი უნდა ჰქონდეს თავისუფლების აღკვეთის 15 წელი. თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება არაა საკმარისი, მისი შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტისათვის, მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ქცევა, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები.<sup>24</sup>

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული ჩანაწერი უვალო მსჯავრდებულისთვის არის უფლება, თუმცა პრაქტიკული კუთხით ამ უფლების რეალიზება ნაკლებად ხდება, ვინაიდან სასამართლო თავს იკავებს გამოიყენოს გათავისუფლების ამგვარი მეთოდი. მოცემული პოზიციის გასამყარებლად მოვიყვან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის შუამდგომლობა უვალო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ. საქმეზე გამოკვლეული იქნა მისი დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მონაცემები სასჯელის მოხდის პერიოდში გამოყენებული წახალისებისა და დასჯის თაობაზე, კერძოდ, დაწესებულებაში ყოფნისას წახალისდა 12- ჯერ, ხოლო დისციპლინური სახდელი დაედო 3-ჯერ, ასევე ინფორმაცია სოციალურ აქტივობებში ჩართვის შესახებ - მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, გავლილი აქვს ინგლისური ენის, აგრეთვე კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი.

<sup>23</sup>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლი.

<sup>24</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285<sup>1</sup>- ე მუხლი.

მართლმსაჯულების განმახორციელებელმა ორგანო ითვალისწინებდა დანაშაულის ჩადენის ხერხს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, რაც მიუთითებდა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების მაღალ სოციალურ საშიშროებაზე და მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის აუცილებლობაზე. გამომდინარე აქედან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადა არ არის საკმარისი დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შესაცვლელად.<sup>25</sup>

აუცილებელია შევხებით არასრულწლოვან მსჯავრდებულებსაც მოცემულ კონცეპტთან მიმართებით. 2015 წელს საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება და შეიქმნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელიც სასჯელის ერთ-ერთ ალტერნატიულ სახედ შინაპატიმრობას ითვალისწინებს. შინაპატიმრობა არასრულწლოვანთათვის 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.<sup>26</sup>

შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების 69-ე მუხლშია გათვალისწინებული. ხსენებული ნორმის შესაბამისად, შინაპატიმრობა დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში არასრულწლოვანისათვის მის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას გულისხმობს. კანონმდებელი მოცემული მუხლის მეოთხე პუნქტში აკეთებს დათქმას, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

---

<sup>25</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 მარტის N95/3254 საქმეზე გადაწყვეტილება.

<sup>26</sup>თ. მახარობლიძე, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია -75, საიუბილეო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ:281.

განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი,<sup>27</sup> 2016 წლის 22 მარტს დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილულ იქნა არასრულწლოვანის საქმე, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით. კერძოდ, არასრულწლოვანი ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მაღაზიაში „ახალი სტილი“ ფარულად დაეუფლა 45 ლარად ღირებულ მამაკაცის მაისურს. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს სასურსათო მაღაზიაში იგი აშკარად დაეუფლა 4.90 თეთრად ღირებულ 2 ბოთლ ლუდს, ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებებში თავი სრულად ცნო დამნაშავედ, რაც მხარეთა მიერ არ გახდა სადავო და გამოკვლევის გარეშე იქნა მიღებული მტკიცებულებად. სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სწორედ ის ფაქტი მიიჩნია, რომ პირი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მას არ გააჩნიალ მოსამართლე გადაწყვეტილებების დასაბუთებისას იშველიებს საერთაშორისო კონვენციებს, კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლს, ამავე კონვენციის მე-14 მუხლს. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უპირატესი ყურადღება უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, თუმცა შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ რჩება შთაბეჭდილება თითქოს საერთაშორისო კონვენციები მოხსენებულია ფორმალურად და ნაკლებია მსჯელობა მოცემული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე. სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177- ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ერთიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახეებად გათვალისწინებულია ჯარიმა ან

---

<sup>27</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის N1/571-16 საქმეზე გადაწყვეტილება.

თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან 5 წლამდე. ამასთან, მოცემული დანაშაულები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანასაუღლთა კატეგორიას.

სასამართლომ გამოიკვლია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვანი ბრალდებული არ იყო შემოსავლის მქონე პირი, რაც ჯარიმის დანიშვნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. რაც შეეხება ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელის კიდევ ერთ სახეს - თავისუფლების შეზღუდვას, არასრულწლოვანთათვის მსგავსი ტიპის სასჯელის მოხდის დაწესებულება განაჩენის გამოტანის დროისათვის არ არსებობდა. ამდენად, არასრულწლოვანის მიმართ წარდგენილ ბრალდების ორივე ეპიზოდში სასჯელის სახედ განსაზღვრულ იქნა შინაპატიმრობა ექვსი თვის ვადით. შთანთქმის პრინციპის შედეგად არასრულწლოვანს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 თვის ვადით, საცხოვრებელ ადგილას ყოფნა დაეკისრა 23:00 - დან 7 : 00 საათამდე.

მოცემულ განაჩენში არ ჩანს შესწავლილია თუ არა ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და მოსამართლე რამდენად ითვალისწინებს მას. კერძოდ, არასრულწლოვანის ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახის ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც არასრულწლოვანის ხასიათისა და ქცევის თავისებურებები შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.<sup>28</sup>

მიმაჩნია, რომ მოცემულ საქმეში მოსამართლეს არ აქვს დასაბუთებული შინაპატიმრობის დანიშვნის მიზანშეწონილობა, ასევე არგუმენტაცია იმისა, რომ ეს სასჯელი ადეკვატური, თანაზომიერი და პროპორციულია განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების.

---

<sup>28</sup> თ. მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017, გვ:79.

მოდით შევხვით სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილებასაც არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. აქაც მითითებული საკითხის განხილვისას ვრცელდება პატიმრობის კოდექსის 43 - ე მუხლი, თუმცა ფაქტობრივი მოხდის ვადები სრულწლოვან მსჯავრდებულისაგან მოსახდელი ვადისაგან განსხვავებულია. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ან 3<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვან მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

- ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი;
- ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;
- გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.<sup>29</sup>

როგორც წესი, პირს, რომელსაც სურს დანიშნული სასჯელი შეეცვალოს ჰუმანური სასჯელის სახით - შინაპატიმრობით იხდის 5000 ლარს, ეს თანხა გარანტიაა, ვინაიდან თუ მსჯავრდებული დააზიანებს ელექტრონულ საშუალებას, რომლითაც ხდება მასზე კონტროლი, დაზიანების საფასური ანაზღაურდება საგარანტიო თანხიდან, სხვა შემთხვევაში თანხა მსჯავრდებულს უკან უბრუნდება. ხოლო ის, ვინც, არის სოციალურად დაუცველი ამ გადასახადისაგან თავისუფლდება მთლიანად. დამეთანხმება უმრავლესობა იმაში, რომ უპრიანი იქნებოდა

---

<sup>29</sup>არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 96-ე მუხლი.

აღნიშნული თანხა უფრო დაბალი ყოფილიყო, რადგან მსჯავრდებულის ოჯახისთვის, რომელიც არაა სოც. დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული რთულია მოსაპოვებლად 5000 ლარი, ყველას არ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს აღნიშნული თანხა და უმეტესობა მიმართავს კრედიტის აღების გზას.

მნიშვნელოვანია შევხვით ასევე შინაპატიმრობის აღსრულების რეჟიმის საკითხსაც, ძირითადად დადებით გადაწყვეტილებებში სამართლებრივი აქტით მსჯავრდებულს ეკისრება ვალდებულება 21 : 00 საათიდან დილის 8:00 საათამდე სახლში ყოფნის ან იმ ადგილზე, რაც მითითებული აქვს მსჯავრდებულს დახასიათების შედგენისას. თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები როცა აღსრულების რეჟიმი განსხვავებულია, ანუ მცირეა. მიმაჩნია, ასეთ შემთხვევებში დადებით გადაწყვეტილებებში უნდა დასაბუთდეს რეჟიმის დადგენის საკითხიც, თუ რამ განაპირობა მისი ამ სახით განსაზღვრა.

მოქმედ კანონმდებლობაში არსადაა ჩანაწერი, თუ რა ხდება როცა უკვე მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა ეცვლება შინაპატიმრობით და სარეჟიმო პირობების შეცვლას ითხოვს. ძირითადად, პრაქტიკა მიდის იმ კუთხით, რომ საბჭო სამართლებრივ აქტში განსაზღვრულ დროს არ უცვლის და ეს მეტ - ნაკლებად სწორიცაა, ვინაიდან ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვისას მსჯავრდებულს ეცნობა ოქმი, რომელშიც გაწერილია ის მოვალეობები, რომლის შესრულება მოუწევს და ამასთან, თანხმდება სარეჟიმო დრო, თანხმობას კი ხელმოწერით ხატავს, ესეიგი მისი ნება ემთხვევა საბჭოს პოზიციას. თუმცა ვფიქრობ, ადგილობრივი საბჭო ყველა შემთხვევაში უარს არ უნდა აცხადებდეს სარეჟიმო პირობების შეცვლაზე და გამონაკლისაც უნდა უშვებდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომელიც შეფასების საგანი უნდა იყოს. ამიტომ, აუცილებელია ამ კუთხით სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ გაწერს ნორმაში მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარის თქმის საფუძვლებს.

ისევე როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის დროს, მსჯავრდებულს უფლება აქვს საბჭოს უარი გაასაჩივროს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოში.

განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე მოსარჩელეს ქ.ს სარჩელი დაუკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმიხლველი ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის N05/19/მ/პ -005 გადაწყვეტილება. ქ.ს მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, გარემოებები სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესახებ, ფაქტი წარსულში ნასამართლობის არქონის თაობაზე, თუმცა ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე და აღნიშნა, რომ ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ კი, თაღლითობა დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სახეზეა არაერთი ეპიზოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ჩადენილი დანაშაულის ხასიათმა, რა გარემოებებში და რა ვითარებაში იქნა განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. გამომდინარე აქედან, საბჭომ მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანახმად ნეგატიურ მოსაზრებებს ვერ გააბათილებს და გადაწონის სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმები. სასამართლო კი თვლის, რომ თავად ამ კრიტერიუმის შეფასებისას დადებით კონტექსტშია შესაფასებელი თუნდაც ის ფაქტი, რომ დანაშაული არ არის ჩადენილი პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, რაც თავისთავად ამცირებს დანაშაულის ჩადენის განმეორების რისკს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გასაჩივრებული სამართლებრივი აქტი

გამოცემულია პატიმრობის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპის - რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ბალანსის უზღუდელყოფით. ამასთან, უზღუდელყოფილია მსჯავრდებულის ბავშვების საუკეთესო ინტერესებიც.<sup>30</sup> ვფიქრობ, მოცემულ საქმესთან მიმართებით სასამართლოს მიერ სრულად არ არის დასაბუთებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი და მიმაჩნია, რომ არაა მხედველობაში მიღებული რიგი საკითხები, ისეთი, როგორცაა დაზარალებულის პოზიცია, მით უფრო, როცა სახეზეა არაერთი ეპიზოდი და დაზარალებულია არაერთი პირი, ალბათობა მაღალია იმისა, რომ დაზარალებულებსა და მსჯავრდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ნიადაგზე ახალი დანაშაული იქნას ჩადენილი, დახაიათებაშივეა აღნიშნული, რომ ქ.სთვის უცნობია მათი პოზიცია, ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მას მცდელობაც არ ჰქონია მათთვის აენაზღაურებინა ზიანი. ამასთან, მიზანშეუწონლად მიმაჩნია, გადაწყვეტილებაში მითითებული შემდეგი ჩანაწერი : ქალი მსჯავრდებულების საქმის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სხვებს შორის ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, მათი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესებს და სხვა. ვინაიდან, ადგილობრივი საბჭოს მიერ გათვალისწინებული იქნა მოცემული გარემოება, ის, რომ მსჯავრდებულს შვილი ჰყავს აპრიორი არ უნდა იყოს საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმი უნდა გაანალიზდეს და ობიექტური, აგრეთვე სუბიექტური ფაქტორები კვალიფიციურად უნდა შეფასდეს და მათი ურთიერთშეჯერება მოხდეს.

---

<sup>30</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის N3/7295-19 საქმეზე გადაწყვეტილება.



## 2.3 სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის

### სასჯელით -საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლა

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არასაპატიმრო სასჯელთა კატეგორიას მიეკუთვნება და გამოირჩევა მაღალი მარეაბილიტირებელი ეფექტით - მსჯავრდებული რჩება საზოგადოებაში და ეძლევა შანსი საკუთარი შრომით გამოისყიდოს საზოგადოებისათვის თავისი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანი, ამასთანავე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სახელმწიფოსათვის არის ხარჯთეფექტური და ეხმარება მსჯავრდებულს შეიძინოს და გამოიმუშავოს სხვადასხვა დამატებითი უნარები. სასჯელის სოციალური დანიშნულებაც, ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მსჯავრდებულის გამოყენებით მოხდეს საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>31</sup> ზოგადად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში.<sup>32</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა პირველად გამოყენებული იქნა აშშ-ში 1966 წელს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მძღოლთა მიმართ.<sup>33</sup>ევროპაში პირველად გამოყენებულ იქნა ინგლისში და უელსში 1970 წელს იმ მიზნით, რომ შემცირებულიყო სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა. ეს სასჯელი მიიჩნეოდა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, რომელიც ხასიათდება რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის მაღალი ეფექტით. ინგლისისა და უელსის შემდეგ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შემოღებულ იქნა ნიდერლანდებში 1981 წელს, დანიაში, საფრანგეთში და

<sup>31</sup>გ. არსოშვილი, დამნაშავეს რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ:4.

<sup>32</sup>ი. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი,გვ:121.

<sup>33</sup>J. Klaus, Handbook on Probation Services, Rome/London, 1998,p:15.

ირლანდიაში 1982 წელს, ხოლო ნორვეგიაში 1984 წელს. დღეს თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს კანონმდებლობა იცნობს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას და მიაკუთვნებს, როგორც საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებს.<sup>34</sup> 1976 წელს კვებეკის იუსტიციის სამინისტროს სამინისტროს საპრობაციო სამსახურმა ექსპერიმენტის სახით, რამდენიმე სასამართლოში შემოიღო კომუნიტარული სამუშაოები. ექსპერიმენტის წარმატების გამო 1980 წელს შემოღებულ იქნა მთელს კვებეკში. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გააერთიანეს პრობაციასთან, როგორც ერთ-ერთი სახეობა მოსამართლის მიერ განსაზღვრული სასჯელისა.<sup>35</sup>

საქართველოში სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა კანონმდებლობაში გაჩნდა 1999 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ის იყო ე.წ. „მკვდარი ნორმა“. მისი ეფექტური გამოყენება კი დაიწყო 2011 წლის 11 მარტიდან საკანონმდებლო ცვლილებების გატარების შემდეგ. დღევანდელი მდგომარეობით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოიყენება არა მარტო, სასჯელის სახით, არამედ, როგორც განრიდების ერთ-ერთი პირობა.<sup>36</sup>

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხუთ შემთხვევაში, როდესაც :

სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

---

<sup>34</sup> A. Van Kalmthout, I. Durnescu, European Probation Service Systems, CEP, 2011, P:26-27.

<sup>35</sup> ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ:437.

<sup>36</sup> გ. გეთიაშვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, თედო ნინიძე - 65, საიუბილეო კრებული, სამართლის ჟურნალი N2, 2016, გვ:231.

სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს პირის მიერ იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, თუმცა მაშინ, როდესაც სასამართლო ამ სასჯელს ნიშნავს დამატებითი სასჯელის სახედ;

საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, როდესაც ძირითადი სასჯელის სახედ ინიშნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;

მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას ან თუ გადახდევინება შეუძლებელია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42- ე მუხლის მე-6 ნაწილი);<sup>37</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა, გარდა მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა, სასჯელის მოუხდელი ნაწილი მისივე თანხმობით, შეუცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.

აღნიშნული სასჯელი შეიძლება გამოიხატოს სკვერების დალაგებაში, მცენარეთა დარგვაში, სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში და ა.შ. არ შეიძლება

---

<sup>37</sup> მ.დავითაძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, თბილისი, 2018, გვ:82.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დაკავშირებული იყოს ფიზიკურ ტკივილთან ან პიროვნების ღირსების შელახვასთან.<sup>38</sup>

სრულწლოვნების მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება 40 - დან 800 საათამდე ვადით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ჯარიმა შეიცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ან თუ თავისუფლების აღკვეთა შეიცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ან თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, ის შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. რაც შეეხება არასრულწლოვნებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად მათ ენიშნებათ 40-დან 300 საათამდე ვადით, იმ შემთხვევაში თუ თავისუფლების აღკვეთა შეიცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ან თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, ის შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას გააჩნია გარკვეული კანონისმიერი შეზღუდვები, რაც გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე, გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. ე.ი. ხსენებული სასჯელის გამოყენების ადრესატთა წრე შეზღუდულია.

სასამართლო პრაქტიკაში, არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლეთა მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ იქნა განმარტებული.

---

<sup>38</sup>მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2016, გვ:470.

2019 წლის 25 დეკემბერს საქალაქო სასამართლოს განაჩენით მ.გ, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის, მას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 100 საათის ვადით, მიუხედავად იმისა, რომ მხარის მიერ საქმეზე მტკიცებულების სახით წარდგენილი იყო ინფორმაცია მსჯავრდებულის ავადმყოფობის შესახებ, კერძოდ, სამედიცინო ცნობით, იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი, უჭირდა მხედველობა.<sup>39</sup>

ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მსჯავრდებულს დაუნიშნა შესაბამისი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქცია, თუმცა ერთის მხრივ, მხედველობაში არ მიიღო მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, რადგან მსჯავრდებული იყო მე-2 ჯგუფის ინვალიდი, მოსამართლეს მისთვის არ უნდა შეეფარდებინა სასჯელის სახით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა შეეფარდებინა თავისუფლების აღკვეთა, რადგან ამით აცილებული იქნებოდა არასაკატიმრო სასჯელის სახის აღუსრულებლობაც, შეიძლება ამ აზრს მოწინააღმდეგეც ჰყავდეს იმ მხრივ, რომ მძიმე სახის სასჯელის გამოყენება მიზანშეუწონლად მიაჩნია, თუმცა 126<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი სხვა ალტერნატიული სასჯელის სახის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

სასჯელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლემ უნდა გამოიყენოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და უზრუნველყოს მისი შესაბამისობა ბრალდებულის პიროვნებასთან, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ფიზიკურ უნარებთან. დამნაშავის პიროვნების მახასიათებლებში არ იგულისხმება მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი მახასიათებლები, განათლება, მისწრაფებები, მისი

---

<sup>39</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/5269-17.

აქტივობები, არამედ პიროვნული ღირებულებები.<sup>40</sup> ვინაიდან, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განმახორციელებელი პირები საკუთარი ინდივიდუალობით გამოირჩევიან, მოსამართლე ვალდებულია სასჯელის შეფარდების საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღოს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები.

საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტი ვადით დანიშვნა „ამკარად ეწინააღმდეგება კანონის განსაზღვრულობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ პრინციპს, კანონის განსაზღვრულობის პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას. კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი მოქმედებს.“<sup>41</sup> მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ავტონომიურად სასჯელის შემცირების, თუ შეცვლის უფლებამოსილებას არ უტოვებს, ეს არ ამართლებს გადამეტებულად მსუბუქი თუ მძიმე სასჯელის დამტკიცებას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ამგვარი შუამდგომლობა წარადგინა. მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და შეუსაბამო სასჯელის შემთხვევაში ან უნდა შესთავაზოს მხარეებს შეცვალონ პირობები ან უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.<sup>42</sup>

გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 სექტემბრის 1/431-13 განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და ნ.გ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს

<sup>40</sup>მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, 342.

<sup>41</sup>გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ:135-136.

<sup>42</sup> სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, გვ:63.

სისხლის სამართლის კოდექსის 177 - ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 3 წლიან პირობით მსჯავრთან ერთად დამატებით სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ოდენობით. პრობაციის ბიუროში აყვანის დროს, როდესაც პრობაციის ოფიცერი მას უხსნიდა სასჯელის მოხდის წესს და პირობებს, ნ.გ. -მ განაცხადა, რომ უჭირდა მხედველობა, და რამოდენიმე დღეში წარადგინა სათანადო ცნობა, რომლითაც გაირკვა, რომ მსჯავრდებულს 2009 წლიდან მინიჭებული ჰქონდა მეორე ჯგუფის ინვალიდის სტატუსი. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მან სასჯელის არსის თაობაზე ინფორმაცია მიიღო პრობაციის ბიუროში და მისთვის, როგორც საპროცესო შეთანხმების დადებისას ისე სასამართლო განხილვის დროს არავის განუმარტავს სასჯელის არსი და არ უკითხავს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ განაჩენშიც მითითებულია, რომ საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელი არის კანონიერი. თუმცა ისევე როგორც პირველ შემთხვევაში აქაც სახეზე გვაქვს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის და საქმის პროკურორისათვის დაბრუნების საფუძველი.<sup>43</sup>

აუცილებელია შევხვით ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის სპეციფიკასაც მითითებული საკითხის განხილვისას. მოცემულ შემთხვევაშიც მსჯავრდებულს სასჯელის გარკვეული პერიოდი უნდა ჰქონდეს მოხდილი, რომელიც განსხვავდება დანაშაულის კატეგორიისა და სხვა გარემოებების მიხედვით. აქაც ფაქტობრივი მოხდის ვადები იდენტურია, როგორც შინაპატიმრობის საკითხის განხილვისას, გარდა ამისა, მსგავსება მათ შორის მდგომარეობს შემდეგში:

შედარებით მსუბუქი სახის სასჯელებია;

ორივე შემთხვევაში აუცილებელია მსჯავრდებულის თანხმობა;

საკითხის განხილვის კრიტერიუმები იდენტურია;

---

<sup>43</sup> გ. გეთიაშვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, თედო ნინიძე - 65, საიუბილეო კრებული, სამართლის ჟურნალი N2, 2016, გვ:235.

პირი სასჯელს იხდის პენიტენციური დაწესებულების გარეთ;

შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში გასაჩივრების ვადები იდენტურია.

რაც შეეხება განსხვავებას ასეთია:

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან განსხვავებით, დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის შემთხვევაში მსჯავრდებული ვალდებულია გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხა;

ვალდებულების შესრულების სახე. კერძოდ, სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოების სასარგებლო შრომით შეცვლისას პირი ვალდებულია შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, იმუშაოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების ადგილას, ხოლო შინაპატიმრობით შეცვლისას პირი ვალდებულია იმყოფებოდეს საცხოვრებელ ადგილას უწყვეტად დადებით გადაწყვეტილებაში მითითებული დროის პერიოდში.

არის ისეთი შემთხვევები, როცა მსჯავრდებულს შუამდგომლობა დაუკმაყოფილდა გათავისუფლება პენიტენციური დაწესებულებიდან და შემდეგ მცირე დროის მონაკვეთში ხდება ისე, რომ ვედარ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს და ურჩევნია ისევ დაბურნდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს უმეტესად გამოწვეულია იმით, რომ როცა განცხადებას წერს დარჩენილი სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით არ იაზრებს რამდენად შეძლებს მის აღსრულებას ოჯახური მდგომარეობიდან, ეკონომიკური მდგომარეობიდან და მისი სხვა პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამასთან არის შემთხვევაც როცა აღსრულებას ხელს უშლის სამუშაო ადგილის ნაკლებობაც. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ასეთი გარემოების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხთან დაკავშირებით და რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შექმნას და ეფექტური



ორგანიზების, რესურსის გაზრდის მიზნით ჩართოს როგორც საჯარო ისე კერძო სექტორი. გარდა ამისა, საჭიროა, დარჩენილი სასჯელის შეცვლის საკითხის განხილვისას შეფარდებული საათი იყოს გონივრული ისევ და ისევ მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან, აღსრულების დრო იმდენად დიდი შეიძლება იყოს ამას ისევ სჯობდეს სასჯელის მოხდა პენიტენციურ დაწესებულებაში, უფრო დროულად მოხდა სასჯელის.

უყურადღებოდ არ უნდა დაგვჩეს სასამართლო პრაქტიკა მოცემულ კონცეპტთან დაკავშირებით, როცა სასამართლოს მხრიდან არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებებია მიღებული, მიზეზი შეიძლება იყოს პირველი განსხვავებული შინაგანი რწმენა დაწერილ საქმესთან მიმართებაში, ასევე ყურადღების მიღმა დატოვება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების. განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ე.დ.ასაჩივრებდა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და ითხოვდა აქტის ბათილობას, რომლითაც საბჭოს დაევალობოდა მისი გათავისუფლება. მოპასუხე მხარის პოზიცია იყო შემდეგი, რომ მსჯავრდებულის საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მისი ოჯახური მდგომარეობა, დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ფაქტი წარსულში ნასამართლობის არქონის შესახებ, თუმცა ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე, ვინაიდან ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ კი, თაღლითობა, დიდი ოდენობით. სახეზეა

არაერთი ეპიზოდი. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიიჩნია ფაქტი, რომ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაზარალებულების პოზიციის თაობაზე. მოსარჩელე მხარეს მიაჩნდა, რომ ვინაიდან მის მიმართ არ იყო გამოყენებული დისციპლინური სახდელი, ამასთან საკმარისი დრო გაატარა, რათა გაენალიზებინა საკუთარი დანაშაული ყველა პირობა იყო სახეზე იმისა, რომ მის მიერ აღარ ექნებოდა ადგილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას. სასამართლომ კი ნაწილობრივ დააკმაყოფილა ე.დ სარჩელი და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი არ შეიცავდა საკმარის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზებთან დაკავშირებით. საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოეყენებინა მინიჭებული უფლებამოსილება და მოცემული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში მიეთითა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისათვის. მოცემულ შემთხვევაში ვფიქრობ, საკმარისია შემდეგი რელევანტური საფუძვლების მითითება - დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე. ამასთან, მხედველობაშია მისაღები დაზარალებულების პოზიცია, ვინაიდან არსებობს მაღალი რისკი ასეთ შემთხვევებში ახალი დანაშაულის ჩადენის რაც დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სამაგიეროს მიზღვაში გამოიხატება. უპრიანი იქნება, თუ სასამართლო სადავო საკითხის მსჯელობისას გადაწყვეტილებას მიიღებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ბალანსის გათვალისწინებით, აგრეთვე ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებაზე დაფუძნებით.

### თავი III

#### სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმებისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების ზოგადი მიმოხილვა

ადამიანის ყველა ქმედებას აქვს თავისი მიზანი. არ არსებობს უმიზნო ქმედება. ამიტომ, სასჯელს, როგორც სახელმწიფო ქმედებას, სამართლის სფეროში უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზნები.<sup>44</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.

დადებითად უნდა შეფასდეს სასჯელის მიზნების განსაზღვრება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. უნდა ღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულად არ ჩამოთვლის სასჯელის მიზნებს. იგი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.<sup>45</sup>

რა თქმა უნდა, ამ თავში არ შევხებით სასჯელის მიზნების განსაზღვრებას და ზოგად დახასიათებას, ვინაიდან მთლიანი თავი მიეძღვნება მათ ურთიერთმიმართებას. ვფიქრობ, რამდენად ეფექტურადაც მოხდება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცალკეული ელემენტების გამოყენება თითოეული პირის მიმართ, იმდენად ადგილი ექნება სასჯელის მიზნების მიღწევას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეზულტატი იქნება რეგრესი, რომელიც გარდაუვალია. ამიტომ, მიმაჩნია, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას საქმეში არსებული გარემოებები გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან შეფასებული

<sup>44</sup> H.Blei, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983, S: 372.

<sup>45</sup> ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები (დის.), თსუ, 2016, გვ:52.

უნდა იყოს არა მხოლოდ ცალ-ცალკე, არამედ ერთმანეთთან ორგანულ კავშირში და ყველა ის კრიტერიუმი, რაზედაც იუსტიციის მინისტრის 320 ბრძანება მიუთითებს უნდა იყოს მკაცრად ინდივიდუალიზებული, პერსონიფიცირებული, რომელიც უზურუნველყოფს სასჯელის მიზნების შესრულებას უმთავრესად დანაშაულის პრევენციისა და რესოციალიზაციის სახით, გარდა ამისა, სავალდებულოა შეფასდეს მისი რისკ-ფაქტორები საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით, მხედველობაში იქნას მიღებული მხარდამჭერი პირის მდგომარეობა და სხვა რიგი ფაქტორები.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. რესოციალიზებული მსჯავრდებული საფრთხეს აღარ შეუქმნის საზოგადოებას და აღარ დაარღვევს ქვეყნის აღიარებულ ნორმებს. საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს იმის, რომ მსჯავრდებული იქნას რესოციალიზებული.<sup>46</sup> ვფიქრობ, სრულიად ლოგიკურია, მათი ინტერესი, რადგან ეს უშუალოდ დაკავშირებულია უსაფრთხოების სტაბილიზაციასთან. მათი მიზანი სწორედაც რომ უნდა იყოს ობიექტური და სამართლებრივად დაბალანსებული რეალობის შექმნა, რეალობის, რომელიც იქნება, თავისი ხასიათით, სტაბილური და ნაკლები საფრთხის შემცველი თითოეული ადამიანისათვის. გამომდინარე აქედან, ნებისმიერი ქვეყნისთვის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს, მთავარ გამოწვევასთან ერთად, რომლის მიღწევისკენ უნდა მიისწრაფოდეს ქვეყანაში არსებული კომპეტენციის მქონე სტრუქტურული ერთეულები, რადგან ეფექტურად მოხდეს აღნიშნულ პირთა სოციალური ინტეგრაცია, რაც ერთგვარად მოიცავს საზოგადოებაში ადაპტურ ქცევისათვის აუცილებელ თვისებების კომპლექსის ფორმირებას, ე.ი. საზოგადოებაში ცხოვრებისა და საზოგადოებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებისა და შესაძლებლობების შექმნას, რომელიც საბოლოო ჯამში ესადაგება საყოველთაოდ აღიარებულ ქცევის წესების ერთობლიობას. შესაბამისად, ფსიქო - სოციალური სერვისის მიწოდების, დასაქმების პროცესში მხარდაჭერისა და მცირე

---

<sup>46</sup> R-P. Callies/H.Müller-Dietz, Strafvollzugsgesetz-Kommentar, München, 200, s:15.

გრანტების გაცემის გზით შეძლებისდაგვარად შესაძლოა აღმოიფხვრას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის მაღალი რისკი, ე.ი. გარკვეულწილად შეიცვალოს დანაშაულის განმახორციელებელი პოტენციური პირის სუბკულტურა, რადგან ხშირია ის შემთხვევა, როცა შედეგის - დანაშაულის ჩადენის ძირითად ფაქტორად ეკონომიკურ მდგომარეობას, უმუშევრობას ასახელებენ, აგრეთვე სტატუსს - ნასამართლობის შესახებ, რაც ძირითადად ხდება პოტენციური დამსაქმებლის მიერ სამსახურში მიუღებლობის დამხმარე რესურსი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო - სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისა და დანერგვის პრაქტიკა, განსაკუთრებით კი მკაფიოდ უნდა იქნეს გაანალიზებული მათი ინდივიდუალური დანერგვის თითოეული მექანიზმი, პროცესი, რომელიც მორგებული იქნება პერსონალურად კონკრეტული მსჯავრდებულისათვის, წარმატებულად დაგეგმილი პროცესი კი აშკარა საწინდარია სტაბილური ქვეყნის შიდა მდგომარეობის სამართალდარღვევებთან მიმართებით.

გასათვალისწინებელია, პენიტენციურ დაწესებულებათა რეჟიმები, რომლებიც ისე უნდა იქნას რეგლამენტირებული, რომ ეფექტურად მოხდეს სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის მიღწევა, მით უფრო დაწესებულების თანამშრომელთა საქმიანობა განსაკუთრებით კი ფსიქოლოგებისა და სოციალურ მუშაკების მაქსიმალურად უნდა იყოს მიზანმიმართული მსჯავრდებულთა სოციალურ ინტეგრაციაზე, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ პიროვნებამ საფრთხე არ შეუქმნას საზოგადოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. შესაბამისად, მსჯავრდებულთა ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამებში შეუძლია გავლენა მოახდინოს მათი ქცევის შეცვლის მოტივაციაზე, ცვლილებებისადმი მზაობა, კონფრონტაციისაგან თავის არიდების ტენდენცია არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების გაცნობიერების სურვილი კი მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან ადაპტაციაში დაეხმარება. რა თქმა უნდა, თვალს ვერ დავხუჭავთ იმ

პრობლემაზეც, რომელიც მსჯავრდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებისას ხდება, რეალურად სრულყოფილად შეუძლებელია შეფასდეს მისი ფსიქო-ემოციური დამოკიდებულება, მდგომარეობა, მაგრამ ეს მიზეზი არ უნდა გახდეს საფუძველი არარესოციალიზებული მსჯავრდებულის წახალისებისა კანონით გათვალისწინებული ფორმით, რასაც ერთგვარად სასჯელისაგან გათავისუფლების მექანიზმები მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ რესოციალიზაცია საკმაოდ მრავალასპექტიანი კონცეპტია და შეფასებითი კატეგორიაა, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა ჭეშმარიტებასთან მიახლოებით უნდა მოხდეს, რადგან ადგილი არ ჰქონდეს არაობიექტურობასა და არამართლობიერი გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა სასჯელისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს გათავისუფლებიდან ხანმოკლე პერიოდში ჩაუდენია დანაშაული. ასე რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში სრული დატვირთვით უნდა მიმდინარეობდეს საგანამათლებლო და დასაქმების პროგრამები, რითიც პირველ რიგში მსჯავრდებულები დასაქმდებიან და აღარ ექნებათ საკმარისი დრო სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაზე საფიქრალად, ასევე დაუგროვდებათ გარკვეული ფინანსური რესურსი სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდის მოწყობისათვის.<sup>47</sup>

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვჩეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის უკვე განხორციელებული ინიციატივა, დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროცესში მსჯავრდებულთა ჩართვის შესახებ. ვფიქრობ, ეს ჟესტი სახელმწიფოს მხრიდან არის უპრეცედენტო, ვინაიდან მსჯავრდებულები ითვლებიან იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებად, რომლებიც გაწეული საქმის საფასურად იღებენ სტაბილურ შემოსავლას და ეს გრძელდება არა მხოლოდ იმ პერიოდამდე სადამდეც სასჯელს იხდიან, არამედ პენიტენციური დაწესებულებიდან გასვლის შემდეგაც. ამკარაა, რომ ეს ღონისძიება უკვე თავისუფლებაზე მყოფ პირს არ რიყავს საზოგადოების სხვა

---

<sup>47</sup> გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ:181.

წევრებისაგან და არ განაკუთვნებს მოწყვლად კატეგორიათა ჯგუფს . ვინაიდან, „საკუთარი თავის მატერიალური უზრუნველყოფის პოვნა ციხიდან გამოსვლის შემდეგ პატიმრის საზოგადოებაში რეინტეგრაციის უნარის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრი პატიმრისათვის ციხეში ყოფნის დროს შეიძლება მათთვის პირველი შესაძლებლობაც იყოს პროფესიულ - ტექნიკური უნარ - ჩვევების შესაძენად და რეგულარული სამუშაოს საკეთებლად. მთავარი მიზანი, რის გამოც პატიმრებს მუშაობა მოეთხოვებათ, არის მათი მომზადება ციხიდან გასვლის შემდეგ ნორმალური შრომითი ცხოვრებისათვის და არა ადმინისტრაციის სასარგებლოდ ფულის გამომუშავება ან მთავრობის სხვა დაწესებულების სასარგებლოდ ქარხანაში მუშაობა. უნდა გვახსოვდეს, რომ დასაქმება სოციალური რეაბილიტაციის მხოლოდ ერთი ელემენტია. სრულფასოვანი რეაგირება გულისხმობს ყველა იმ უნარ- ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, რაც საზოგადოებაში დასაბრუნებლად საჭირო, სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა უნარ-ჩვევებზეა მოთხოვნა.<sup>48</sup> სწორედ მოცემული მოსაზრების საპირწონედ, დამსახურებულად უნდა მოხდეს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება, რომელიც ყველა ზემოხსენებულ ფაქტორს დააკმაყოფილებს და არ შექმნის იმის ვარაუდს გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის, რომ იგი მალევე დაუბრუნდება პენიტენციურ დაწესებულებას, სოციალურ აქტივობებში ჩართვა მხოლოდ არ კმარა მისი რეაბილიტაციისთვის, ამას თან უნდა სდევდეს პიროვნული ფსიქოლოგიური მდგომარეობის მდგრადობა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ზემოხსენებული ღონისძიებების გატარებაც შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი დანაშაულის პრევენციისთვის, ვინაიდან ადამიანის ქცევის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია წინასწარ და არანაირი მეცნიერული მეთოდით არ არის შესაძლებელი. შესაძლებელია მხოლოდ იმ ალბათობის ხარისხის შეფასება, ჩაიდენს თუ არა კონკრეტული დამნაშავე სხვა სისხლისსამართლებრივ

---

<sup>48</sup> ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა უფლებათა პოზიციიდან - სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007, გვ: 93.

ქმედებას<sup>49</sup>, თუმცა მათში უმეტესად უფრო პრაქტიკული დანიშნულების იდეა გამოხატული სამომავლოდ ლეგალური ქმედების განხორციელების მიზნით.

მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას შესაძლოა დაზარალებული მხარისგან სრულიად განსხვავდებოდეს მსჯავრდებულის მხრიდან აღქმული სამართლიანობის აღდგენა, ვინაიდან არის შეთხვევები როცა დაზარალებულს არ სურს მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იქნას რაიმე კანონით გათავისწინებული შეღავათი, მსჯავრდებული კი მიიჩნევს, რომ საკამრისი დრო გაატარა პენიტენციურ დაწესებულებაში საკუთარი ქმედების გასაანალიზებლად და თავს უკვე რესოციალიზებულ პირადაც კი თვლის, თუმცა ყოველთვის გადაწყვეტილების მიმღებ პირებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ თავად მსჯავრდებულს თავი არ აგრძნობინონ დაზარალებულად მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე და მაქსიმალურად გაანალიზონ თითოეული თავისუფლებააღკვეთილი პირის გარემოებები, სამართლიანობა კი ყოველთვის იყო, არის და იქნება შეფასებითი კატეგორია ნებისმიერი პირისათვის, მნიშვნელობა არ აქვს ეს დაზარალებულია, თუ დამნაშავე, ჭეშმარიტება უმეტესწილად არ არსებობს მოცემულ კონცეპტთან მიმართებით.

ასე, რომ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების თითოეული მექანიზმის გამოყენება უშუალოდ აჩვენებს რეზულტატს სასჯელის მიზნების მიღწევადობის კუთხით და სრულიად გამართლებულია, ითქვას, რომ ხსენებული კონცეპტები ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაში არიან და უფრო მეტიც, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების თითოეული მექანიზმის სწორი გამოყენება მიუთითებს თუ რამდენად ეფექტურად სრულდება სასჯელის მიზნები.

---

<sup>49</sup> მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ: 2.



## თავი IV

### სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შედარებითი ანალიზი

„როგორც ევროპის საბჭოს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ რეკომენდაციაშია აღნიშნული (რეკომენდაცია მიიღო და დაამტკიცა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2003 წ. 24 სექტემბერს), ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში გავრცელებულია პირობით ვადამდე გათავისუფლების სამი სისტემა: დისკრეციული (Discretionary release system), მანდატორული, ანუ სავალდებულო (Mandatory release system) და შერეული (Mixed release system). პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციული სისტემა მოქმედებს ევროპის უმეტეს ქვეყნებში, კლასიკური სახით ფუნქციონირებს საფრანგეთში. მანდატორული სისტემა განვითარებულია შვედეთში, ხოლო შერეული - ინგლისსა და უელსში. მანდატორული სისტემის თანახმად შვედეთში მსჯავრდებული ავტომატურად თავისუფლდება სასჯელის ვადის 2/3-ის მოხდის შემდეგ, თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული აქვს 1თვე მაინც. შერეულ სისტემაში ავტომატური გათავისუფლება ვრცელდება პირებზე, რომელთაც მისჯილი აქვთ პატიმრობა ხანმოკლე ვადით, ხოლო ხანგრძლივი ვადით მსჯავრდებულებზე ვრცელდება პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციული მოდელის მოთხოვნები.

გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლება სასჯელის ვადის 2/3-ის მოხდის შემდეგ. გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ იღებს სასჯელაღსრულების სასამართლო (Strafvollstreckungsgericht), პროცესს ესწრება პროკურორიც, მაგრამ მას არ აქვს გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობის უფლება. სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება დაუშვას პატიმრის ვადამდე გათავისუფლება სასჯელის არანაკლებ 15 წლის მოხდის შემდეგ.

გადაწყვეტილება გამოაქვს ლანდის სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეს (criminal law judge of the Landgericht).

ინგლისში პირებს, რომლებიც სასჯელს 4 წელზე ნაკლები ვადით იხდიან, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება აქვს სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ. დროებით ვადამდე გათავისუფლება ეზღუდებათ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან 4 წელზე მეტი ვადით. ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში მათ ენიშნებათ საპრობაციო სამსახურის ზედამხედველობა სასჯელის ვადის 75 % - ის გასვლამდე. ზოგიერთი სექსუალური დანაშაულისათვის მსჯავრდებულს ზედამხედველობა ენიშნება სასჯელის ვადის ამოწურვამდე.

საფრანგეთში პატიმარს უფლება აქვს, მიმართოს სასჯელაღსრულების კომისიას (Penalty Application Commission) პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. თუ სასჯელის ვადა 1 წელს აღემატება, თითოეულ წელს აკლდება 3 თვე (ანუ 2 წლით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, სასჯელის ვადას მოაკლდება 6 თვე), თუ სასჯელის ვადა 1 წლამდეა, თითოეულ თვეს აკლდება 7 დღე (ანუ 4 თვით თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, სასჯელის ვადას მოაკლდება 1 თვე). სამუდამო პატიმრობა მისჯილიც შეიძლება გათავისუფლდეს, მაგრამ სასჯელის შემცირება არ უნდა აღემატებოდეს 20 დღეს ან 1 თვეს სასჯელის 1 წელზე. გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ იღებს სასჯელაღსრულების საქმეთა მოსამართლე (Juge de l'application des peines), თუ სასჯელი არ აღემატება 10 წელს ან დარჩენილია 3 წელი, სხვა შემთხვევებში პირობით ვადამდე გათავისუფლების რეგიონული სასამართლო (Juridiction regionale de liberation conditionnelle), საქმის გადასინჯვა ხდება პირობით ვადამდე გათავისუფლების ეროვნულ საკასაციო სასამართლოში (Cour de cassation la juridiction nationale de la liberation conditionnelle). ყველა შემთხვევაში სასამართლო

მოსმენა ინიშნება განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნით, ამასთან გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია.<sup>50</sup>

შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ დიფერენციაციის საფუძველს იძლევა ჯერ საქართველოში არსებული მოდელი, შემდეგ დანაშაულის კატეგორიის მიხედვით ფაქტობრივად მოხდის ვადები, ასევე გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოები.

ახლა განვიხილოთ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში. მოსაზრება ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის გამოყენების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში 1971 წევს გამოითქვა. შინაპატიმრობის ამ სახის განვითარებას გასული საუკუნის 80-იან წლებში ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა განსაკუთრებულმა კრიმინოგენულმა მდგომარეობამ. ამ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სასჯელადსრულების, გამასწორებელ დაწესებულებებსა და უსახლკარო არასრულწლოვანთა თავშესაფრებში 51.000 ზრდასრულთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში კი 500000 არასრულწლოვანი იყო მოთავსებული. გადატვირთულ ციხეებში თვითგადარჩნის მიზნით არასრულწლოვნები ბანდებს ქმნიდნენ და მათი რესოციალიზაცია ამიტომაც შეუძლებელი ხდებოდა. მაღალი იყო ზრდასრულთა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა სიკვდილიანობისა და თვითმკვლელობის მაჩვენებელი. ზრდასრულთა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა 60% კვდებოდა, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის მაჩვენებელი რვაჯერ მეტი იყო, ვიდრე არასრულწლოვანთა სპეციალურ სასჯელადსრულების დაწესებულებებში. ამ

---

<sup>50</sup> მ. ხმალაძე - მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში, საინფორმაციო ჟურნალი საქართველოს პატიმრობის კოდექსის პროექტისათვის, თბილისი, 2017, გვ:2-3.

საგანგებო მდგომარეობის გამო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ნახევრიდან ამერიკის შეერთებულ შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში სხვა ალტერნატიულ სასჯელებს ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობაც დაემატა. ევროპაში კი ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში პირველად დიდ ბრიტანეთში 1989 წელს დაინერგა. ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შინაპატიმრობის სამ სხვადასხვა სახეს იყენებენ:

1. კომენდატის საათი („Curfew“) პირს ღამის საათებსა და შაბათ -კვირას სახლიდან გაუსვლელობას ავალდებულებს. შინაპატიმრობის ეს სახე სასჯელის შედარებით მსუბუქი ფორმაა.
2. პირველი სახის შინაპატიმრობასთან შედარებით სასჯელის უფრო მკაცრი სახეა „Home Detention“, რომელიც პირს მუდმივად სახლში ყოფნის ვალდებულებას აკისრებს და უფლებას აძლევს, საცხოვრებელი მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისთვის დატოვოს.
3. შინაპატიმრობის ყველაზე მკაცრი ფორმაა სახლიდან გასვლისა და სტუმრის მიღების აბსოლუტური აკრძალვა „ Home Incarceration“.<sup>51</sup>

Curfew (მსუბუქი ფორმა) - თავისუფლების შეზღუდვის ამ დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს. ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად.

Home detention (ნაკლებად მძიმე ფორმა) - წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს - სწავლის, სამუშაო ან თერაპიაზე სიარულისათვის.

---

<sup>51</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების ადკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ: 64.

Home Incarceration (მძიმე ფორმა) - შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილს უფლება არა აქვს დატოვოს სახლი.<sup>52</sup>

მსოფლიოში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების მრავალი სხვადასხვა სახე ზოგადად ორ ჯგუფად უნდა დაიყოს : ციხის კარამდელი (Frontdoor System) და ციხის კარის შემდგომი (Backdoor System). ციხის კარამდელი ალტერნატივა პირს საპატიმრო სასჯელს სრულიად აცილებს თავიდან. ელექტრონული ზედამხედველობა ამ დროს გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად. ციხის შემდგომი სისტემა (Backdoor System) კი საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივი მოხდის შემდეგ, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება.<sup>53</sup>

ციხის კარის შემდგომი (backdoor system) ზედამხედველობის გამოყენებით ამერიკაში ცნობილია ოკლაჰომასა და ნიუ ჯერსის შტატები, ხოლო ციხის კარამდელი ზედამხედველობა ( Frontdoor system) კი გამოიყენება ფლორიდაში.<sup>54</sup>

ევროპაში 90-იანი წლების ბოლომდე ყველაზე გავრცელებული იყო Frontdoor system მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთისა და წინასწარი პატიმრობის თავიდან ასაცილებლად. დღეისათვის გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ნაწილის შეცვლას ელექტრონული ზედამხედველობით, ანუ ციხის შემდგომ შინაპატიმრობას (backdoor system). დასავლეთ ევროპაში არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონულ ზედამხედველობას 2012 წლის მონაცემებით იყენებდა ინგლისი, უელსი და გერმანიაში - ჰესენის მხარე. არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ჰესენის მხარე ამ ღონისძიებას არასრულწლოვანთა საპატიმრო სასჯელის სრულ დასრულებამდე

<sup>52</sup> მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016. გვ:136.

<sup>53</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშნვის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ: 65.

<sup>54</sup> N.Moriss, M.Torny, Between Prison and Probation, New York, 1990, p:213.

„თავისუფლებისათვის მოსამზადებლად” იყენებს და არა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ან წინასწარი პატიმრობის ალტერნატივად.

გერმანიაში ელექტრონულ კონტროლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მხოლოდ ჰესენის მხარე მიმართავს. აქ, როგორც წესი, ელექტრონული მონიტორინგი გამოიყენება პრევენციული პატიმრობიდან გათავისუფლებულ იმ ზრდასრული, უმძიმესი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, რომელთაგანაც, სპეციალისტთა დასკვნით, რეციდვია მოსალოდნელი და რომლებიც პრევენციული პატიმრობიდან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2009 წლის გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ.

2012 წლის მონაცემებით, არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონული სამაჯური ინგლისსა და უელსში გამოიყენებოდა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდ ბრიტანეთში 10 წლის ასაკიდან იწყება, ამიტომაც თეორიულად ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობაც ამ ასაკიდან არის შესაძლებელი, თუმცა არ გამოიყენება. არასრულწლოვანთა საპილოტო პროექტებში მონაწილეთა ასაკი აშშ-ში 14-17 წლამდე, დიდ ბრიტანეთში კი 14-15 წლამდე მერყეობდა.

შინაპატიმრობისათვის „კლიენტურის”, ანუ სამართალდამრღვევთაგან იმ პირთა შერჩევა, რომელთა მიმართაც ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობა სასურველ შედეგს გამოიღებს და კონტრაპროდუქტიული არ იქნება, მეტად რთულია. ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყდება.

გერმანიაში ჰესენის მხარე ელექტრონულ კონტროლს მიმართავს იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებსაც გათავისუფლებამდე 6 თვე დარჩათ და თავისუფალი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად ვადამდე ადრე თავისუფლდებიან.

აშშ-ში სხვადასხვა მრავალი შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის პროექტი ხორციელდება. აშშ-ის პროგრამათა ის ნაწილი, რომელიც

ლიტერატურაშია გაანალიზებული, მიზნობრივ ჯგუფში აერთიანებს იმ პირებს, რომელთა მიმართაც დერივაცია გამოიყენება, ანდა მათ, რომლებიც ამ სასჯელის გარეშე წინასწარ პატიმრობაში იქნებოდნენ აყვანილი. ე.ი. ლიტერატურაში განხილული აშშ-ის პროგრამებით, ხდება ციხის კარამდელი ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობის გათვალისწინება.<sup>55</sup>

გერმანიაში ერთ-ერთ საპილოტო პროექტის გამოსაცდელ პირთა 27% ელექტრონული სამაჯურის ტარებისას შეუძლებელია იმ ფეხსაცმლის ჩაცმა, რომელიც პირს კოჭამდე სწვდება. თუ მისი პროფესია სპეციალური ფეხსაცმლის ტარებას მოითხოვს, მის მიერ ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იქნება.

დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მართალია, ელექტრონულად გაკონტროლებული შინაპატიმრობა ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ შეზღუდულია ჯგუფური სპორტული აქტივობა, რადგან ელ. სამაჯურის ხილვადობა მოზარდში უხერხულობას იწვევს. დელინქენტი მოზარდები მიუთითებდნენ, რომ ისინი ამიტომაც უფრო მეტ დროს სახლში ატარებდნენ კომპიუტერთან და ტელევიზორთან და უფრო დიდხანს ეძინათ.

სამედიცინო-ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობისას, სასჯელის აღსრულების დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ, სრულწლოვან და ფსიქიკურად მდგრად პირებს ფსიქიკური გადახრები აღენიშნებათ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1986-1988 წლებში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში გაცილებით უფრო სწრაფად იწვევს სახლში იძულებით დარჩენასთან დაკავშირებულ ფსიქიკურ გადახრას და ამ გადახრით დეტერმინებულ

<sup>55</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ: 65-66.

ძალადობას ოჯახის წევრთა მიმართ, ამიტომაც პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებით არასრულწლოვანთა შინაპატიმრობის ხისტი წესებისაგან რეგულარულად გამონაკლისს უშვებდნენ და ასე გრძელდება დღესაც.

ამ უარყოფითი მაჩვენებლების გამო საფრანგეთმა ელექტრონული მონიტორინგის საპილოტო პროექტში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ზრდასრულ პირთა მიმართ ექვსი თვით შეზღუდა. აშშ-ის ერთ საპილოტო პროექტში ელექტრონული ზედამხედველობის ხანგრძლივობა 16- დან 90 დღეს შეადგენდა, დიდ ბრიტანეთში ელექტრონული ზედამხედველობის ხანგრძლივობა 10 - დან 15 წლამდე ასაკის დელინქენტებისათვის კანონითაა განსაზღვრული და სამ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. გერმანიაში, ჰესენის მიწაზე არასრულწლოვანთა მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება მხოლოდ 6 თვემდე დაინიშნოს.<sup>56</sup>

ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ელექტრონული ზედამხედველობის ხარჯის ნაწილს მსჯავრდებული ანაზღაურებს. ავსტრიაში ეს თანხა ყოველდღიურად 22 ევროს შეადგენს.<sup>57</sup>

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ ხდება შინაპატიმრობის ფორმებად დაყოფა, ამასთან, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შემთხვევაში დაწესებული საფასურის ოდენობაც განსხვავებულია, გარდა ამისა, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისგან თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის

---

<sup>56</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ: 67-68.

<sup>57</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, 2017, გვ:70.



მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება, ასეთ ჩანაწერს სოციალურად დაუცველთა შესახებ არ ვხვდებით მაგალითად ავსტრიაში მოქმედ სამართლებრივ აქტებში და პირდაპირ არსადაა ჩანაწერი გაკეთებული თუ რა ხდება როცა მსჯავრდებულს არ აქვს ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომ შეძლოს ყოველდღიურად 22 ევროს გადახდა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის საკითხის განმხილველი ორგანოებიც განსხვავებულია და შესაბამისად მათი პრაქტიკაც.

ალტერნატიული სასჯელის უპირატესობის მეტად მკაფიოდ წარმოსაჩენად სამართლებრივად რელევანტურია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკის განხილვა აშშ-ის მაგალითზე, ვინაიდან იგი წარმატებით ახორციელებს აღნიშნული ალტერნატიული სასჯელის ეფექტურ გამოყენებას. კერძოდ, იუვენალური იუსტიციის სისტემა აქტიურად იყენებს პრობაციის ინსტიტუტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოიცავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, გარკვეულ შემთხვევაში კი ეს უკანასკნელი, როგორც საპატიმრო სახის სასჯელის ალტერნატივა, დამოუკიდებლად გამოიყენება. მაგალითად, კანადაში მოცემული სასჯელი გაერთიანებულია პრობაციასთან, რის შედეგადაც მოსამართლე გარკვეულ შემთხვევაში დამნაშავეს ავალებს ლტოლვილების ასოციაციისათვის კონკრეტული დახმარების გაწევას. სასამართლოები საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოებს რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებად თვლიან. იგივე მიდგომაა აშშ-შიც.<sup>58</sup> მაგალითად არიზონას შტატში, პრობაციის გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში არასრულწლოვანმა პრობაციის ისეთი პირობების მორჩილად დაცვასთან ერთად, რომლებსაც მიეკუთვნება სავალდებულო საშუალო განათლების მიღება და მკურნალობის სავალდებულო კურსის გავლა, უნდა აღასრულონ ასევე

---

<sup>58</sup> ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999 წელი, გვ:437.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მასზე მეთვალყურეობის განხორციელებით, სულ მცირე 32 საათი ყოველკვირეულად.<sup>59</sup>

აშშ-ში მდგომარეობა იცვლება შტატების მიხედვით. ზოგიერთი შტატის კანონი ჩამოთვლის პირობებს ან მოსამართლე ამ თვალსაზრისით თავისუფალია, ხოლო სხვა შტატებში მოსამართლე საქმეს გადასცემს პრობაციის კომიტეტებს. ამერიკის ადვოკატთა გაერთიანება მხარს უჭერს ზუსტი პირობების არსებობას, იმგვარი მოვალეობების დაკისრების ჩათვლით, რომლებიც მოიცავს სამედიცინო დახმარების გავლას, დანაშაულის შედეგების გამოსწორებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან განსაზღვრული ადგილიდან გაუსვლელობის მოვალეობას.<sup>60</sup>

ამერიკელი მკვლევარების მიერ რეციდვითან ბრძოლის საკითხებში დადებითი დასკვნა კეთდება ალტერნატიული სასჯელების ისეთი სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განმახორციელებელი პროგრამები. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, გამოიყოს აშშ-ში არსებული ალტერნატიული სასჯელის შემდეგი სახეები - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლებისა და შაბათ - კვირის სასჯელის პროგრამები, რომელთაგან მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოიყენება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ, რამდენადაც სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლებისა და შაბათ-კვირის სასჯელის პროგრამებში არ არის მითითებული მათში არასრულწლოვან დელიკვენტთა შესაძლო მონაწილეობის შესახებ. ამგვარად, მართებულია, ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სპეციფიკაზე აშშ-ის მიხედვით, სადაც აღნიშნული ალტერნატიული სასჯელი ყველაზე ხშირად დამატებითია სხვა სასჯელზე. ძირითადად იგი სასჯელად გამოიყენება ე.წ. თეთრსაყელიანი (white-collar) კრიმინალების, არასრულწლოვანი დელინკვენტებისა და მათ მიმართ, ვისაც არ ჩაუდენია სერიოზული დანაშაული.

<sup>59</sup> [http://www.ehow.com/list\\_6505860\\_rules-juvenile-probation.html](http://www.ehow.com/list_6505860_rules-juvenile-probation.html) [20.05.2020].

<sup>60</sup> S.Stojkovic, R.Lovell,Corrections, An introduction, Anderson pub, Cincinnati, Ohio, 1992, P:475.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისადაც, აღნიშნული არასაკატიმრო სასჯელის გამოყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შესაძლებელია, რაც გარკვეულწილად საკანონმდებლო ხარვეზადაა მიჩნეული, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულზე საქმეების დიდი ნაწილი საპროცესო შეთანხმებით მთავრდება<sup>61</sup> და რომ დავუბრუნდეთ აშშ-ს, უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაში მათი განაწილება ისეთ სამთავრობო ან კერძო არაკომერციულ სააგენტოებში, რომელთა საქმიანობაც მიმართულია ისეთი საქმიანობის შესრულებისაკენ, როგორცაა - პარკების დასუფთავება, გზისპირა ნაგვის შეგროვება, საექთნო საქმეებში შესაბამისი დაწესებულებების დახმარება.<sup>62</sup>

საერთაშორისო დონეზე დასაქმების ადგილთან და დამსაქმებლის პროფილთან დაკავშირებით შეზღუდვები არ არსებობს. ნიუ ჯერსიში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მისჯილი შესაძლებელია დასაქმდეს როგორც საჯარო დაწესებულებაში ისე კერძო არასამეწარმეო, არაკომერციულ ორგანიზაციაში.<sup>63</sup>

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ფართოა ჩამონათვალი აშშ - სამუშაოს შესრულების სახისა, დამატებით შეიძლება ჩამოითვალოს ასევე შემდეგი სამუშაოები : პარკებისა და სკვერების დასუფთავება, დაესწროს საგანამათლებლო პროგრამებს, მოამზადოს პრეზენტაცია დანაშაულის ნეგატიური ასპექტების შესახებ, სკოლის მოსწავლეებს ესაუბროს თუ რატომ არის მავნე ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, დასაქმდეს საწარმოში, აწარმოოს სარემონტო სამუშაოები, ქალაქის კედლებზე წაშალოს უხამსი ნახატები, იმუშაოს ქველმოქმედებისთვის, ისწავლოს სამართალი, ტუტორირება გაუწიოს ბავშვებს, ქალაქის ღარიბ უბნებში იმუშაოს მშენებლობაზე,

---

<sup>61</sup> მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ:106.

<sup>62</sup> ი. ხერხეულიძე, პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი -85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ:195.

<sup>63</sup> H.Abadinsky, Probation and Parole, Theory and Practice, New York, 2009, P: 336.

დაეხმაროს მოხუცებს, მოუაროს ცხოველებს თავშესაფარში, მიიღოს სასწრაფო სამედიცინო სამსახურისა და სხვა სამაშველო სამსახურის მიერ განხორციელებულ ოპერაციებში მონაწილეობა, იზრუნოს ქალაქის კეთილმოწყობისთვის, აკრიფოს ფოთლები, შეკრიჭოს ბალახი, გაწმინდოს ფანჯრები, დაასუფთაოს სადარბაზოები, დადგას და შემდეგ დემონტაჟი გაუკეთოს საშობაო დეკორაციებს, იმუშაოს ორგანიზაციაში რომელიც ინფორმირებას უკეთებს მკერდის კიბოს შემთხვევებს, იმუშაოს წყლის კონსერვაციისთვის.<sup>64</sup>

ესპანეთის კანონმდებლობა განამტკიცებს, რომ ნებისმიერმა დაკისრებულმა სამუშაომ არ უნდა შელახოს დამნაშავის ღირსება და ამით ამით მსჯავრდებულმა არ უნდა მიიღოს რაიმე ფინანსური სარგებელი. სწორედ ადამიანის უფლებათა დარღვევის კონტექსტში განიხილება კონსტიტუციური „თანაზომიერების პრინციპი“ რომლის გათვალისწინებითაც, დარღვეული უფლება, უფლებაში ჩარევის გზა მიღწეული მიზნისა და მინის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერი უნდა იყოს. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლოა, ჩაენაცვლოს ჯარიმას ,ოსოვე გადაუხდელობის შემთხვევაში, რისთვისაც საჭიროა დამნაშავის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში 1 დღის შრომა 2 აუნაზღაურებელი დღის ტოლფასია.<sup>65</sup> აღნიშნული სასჯელის აღსრულების ადგილს მუშაობას კი არჩევს დამნაშავე პიროვნების, მისი ოჯახური, სოციალური და სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი ადგენს შესაბამის ანგარიშს, რომელსაც სათანადო სასამართლოს წარუდგენს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების განმავლობაში მუშაკი უზურნველყოფს კონტროლს მოცემულ მსჯავრდებულზე.

ჯარიმის არ/ ვერ გადახდის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მის ჩანაცვლებას ითვალისწინებს გერმანიის კანონმდებლობა. კერძოდ, 1986

<sup>64</sup> <http://pja.gov.pk/system/files/Probation.pdf> [19.05.2020].

<sup>65</sup> Anton.M. van Kalmthout, Jack T. Derks, Probation and Probation Services, A Eu-ropean Perspective, Spain, Probation work in different stages of the criminal justice process, 2015, p:504.

წლიდან გერმანიის კანონმდებლობით ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება. მოგვიანებით ფედერალური მიწების მთავრობებს მიენიჭათ უფლება, პროკურატურას მისცენ შესაძლებლობა, რომ ნება დართონ მსჯავრდებულს, ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების გზით გადაიხადოს.<sup>66</sup>

ლუქსემბურგში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ძირითად სასჯელად დანიშვნა შესაძლებელია, თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულმა არ შეიძლება, გამოიწვიოს საპატიმრო სასჯელი 6 თვეზე მეტი ვადით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების საათობრივი კუთხით აღნიშნული სახელმწიფო შედარებით უფრო ლიბერალურია, აღნიშნული სასჯელის საათობრივი ოდენობაა 40-დან 240 სთ-მდე დროის პერიოდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი გაგრძელება შესაძლებელია შეუქცევადად 18 თვის განმავლობაში. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს General-Attorney. <sup>67</sup> საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ დგას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების რაოდენობის პრობლემა, ვფიქრობ, გარდა საჯარო სექტორისა, კერძო სექტორიც უნდა ჩაერთოს სასჯელის ამ სახის აღსრულების პროცესში, რადგან გაზრდილი დასაქმების არეალი მსჯავრდებულს გაუჩენს დასაქმების რეალურ პერსპექტივას, რომელიც რესოციალიზაციის გზაზე უდავოდ ხელშემწყობი ფაქტორი იქნება. ამასთან, განსხვავება მდგომარეობს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების კომპეტენციაში, გარდა ამისა, სამუშაოს შესრულების სახის

---

<sup>66</sup> თ. ცქიტიშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ:552.

<sup>67</sup> Anton.M. van Kalmthout, Jack T. Derks, Probation and Probation Services, A Eu-ropean Perspective, Spain, Probation work in different stages of the criminal justice process, 2015, p:336.

განმსაზღვრელ პირებში, ვინაიდან სამუშაოს შესრულების სახეს საქართველოში განსაზღვრავს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

## დასკვნა :

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცალკეული მექანიზმებისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა ბუნებრივია, მრავალმხრივი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მათი სინთეზირების ფონზე გამოვთქვი ვარაუდი, რომ კანონით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულის კრიმინოლოგიური რისკ-ფაქტორები ყურადღების მიღმა დარჩენას, რაც შესაძლოა რელევანტური საფუძველი გახდეს ახალი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელების, მოცემულ კონცეპტებს შორის ჯაჭვური ბმაა და ერთი მექანიზმის სწორი გამოყენება უშუალოდ კავშირშია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნის შესრულებასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მის მიუღწევლობასთან და შესაბამისად რეგრესთან.

პრაქტიკული და სამეცნიერო მასალების შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიმაჩნია ჩამოაყალიბდეს რამოდენიმე დებულება, რომელიც წინამდებარე თემასთან მიმართებით არსებული ხარვეზების ნოვატორულ გადაწყვეტას მოიცავს.

საჭიროდ მიმაჩნია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებს დაემატოს კიდევ ერთი სახის შეფასებითი საშუალება, შეფასებითი ნიშანი - სამეურნეო მომსახურებაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ მონაცემები.

სამართალზომილობითი თვალსაზრისით, მინისტრის ბრძანებით პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის გადაწყვეტა მიზანშეუწონელია, რადგან სასჯელის

დანიშვნა წესრიგდება სისხლის სამართლის კოდექსით, მისი ეფექტიანობის შემოწმება არ უნდა ხდებოდეს მინისტრის ბრძანებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონი მიღებამდე მრავალსაფეხურიან, ბევრად უფრო რთულ გზას გადის და ერთგვარად სოციუმში მისდამი ნდობის ხარისხი მაღალია, ხოლო მეორე მხრივ, საორგანიზაციო დოკუმენტით „თამასის დაწვევის“ რისკი აშკარაა, ვინაიდან მასზე დაყრდნობით დგება ის შედეგი, ე.ი. წყდება სისხლისსამართლებრივი საკითხი, რომელიც ეცნობება მსჯავრდებულს ან/და კანონიერ წარმომადგენელსა და მსჯავრდებულს.

საჭიროა, სასამართლოს მხრიდან როცა ხდება სარჩელის განხილვა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის თაობაზე მხედველობაში იქნას მირებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმები-დანაშაულის ხასიათი, დანაშაულის სიმძიმე, რადგან ადგილი არ ჰქონდეს არარესოციალიზებული მსჯავრდებულის გათავისუფლებას.

გასათვალისწინებელია პენიტენციურ დაწესებულებათა რეჟიმები, რომლებიც ისე უნდა იქნას რეგლამენტირებული, რომ ეფექტურად მოხდეს სასჯელის მიზნების მიღწევა, მით უფრო დაწესებულების თანამშრომელთა საქმიანობა განსაკუთრებით კი ფსიქოლოგებისა და სოციალურ მუშაკების მაქსიმალურად უნდა იყოს მიზანმიმართული მსჯავრდებულის სოციალურ ინტეგრაციაზე, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ პიროვნებამ საფრთხე არ შეუქმნას საზოგადოების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

ვფიქრობ, საჭიროა დადებით გადაწყვეტილებაში, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი ეცვლება - შინაპატიმრობით აღსრულების რეჟიმი იყოს დასაბუთებული, თუ რამ გამოიწვია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კონკრეტული დროის მითითება, რომლის შესაბამისადაც პირი საცხოვრებელ სახლში უნდა იმყოფებოდეს.



რეკომენდირებულია პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ყველა მსჯავრდებულთა მიმართ მოხდეს მათი ოჯახის შეფასება, რაც ადგილობრივ საბჭოს წევრებს აძლევს შესაძლებლობას კიდევ უფრო ნათლად განჭვრიტონ ის საკითხები რაც მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვება, უმეტესწილად შეფასდეს მხარდამჭერი პირების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და ის გარემო, რომელშიც ცხოვრება მოუწევს პენიტენციური დაწესებულებიდან გამოსულ პირს.

სასურველია, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხის განხილვისას პირს, რომელსაც დააკისრებს ამ სახის სასჯელს გამოიკვლიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა პიროვნული მახასიათებლები.

დასკვნის სახით, კი შემიძლია გამოვთქვა ვარაუდი იმისა, რომ თუ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ცალკეული მექანიზმების გამოყენებისას სწორად იქნება შეფასებული მსჯავრდებულის საქმის მასალები, რიგი გარემოებები ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებული და გაანალიზებული მათი გამოყენება ასეთ შემთხვევაში ხელს არ შეუშლის სასჯელის მიზნების შესრულებას, ვინაიდან ისინი ერთმანეთისაგან მოწყვეტით არ განიხილება, მათ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში გააჩნიათ როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სიბრტყეზე.

## ბიბლიოგრაფია:

### ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ზ. გოთუა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001.
2. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, ქ. სუმბათაშვილის თარგმანი, რედ. თ. ნინიძე, თბილისი, 1999.
3. გ. მიქანაძე, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, სტატიათა კრებული, თბილისი, 2012.
4. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, თბილისი, 2007.
5. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014.
6. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016.
7. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017.
8. მ. გორგოძე, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ - სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017.
9. ი. ხერხეულიძე, პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი, 2014.

10. ვ. ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003.
11. თ. მახაროზიძე, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია -75, საიუბილეო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016.
12. თ. მახაროზიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N1, თბილისი, 2017.
13. გ. არსოშვილი, დამნაშავეს რესოციალიზაცია, თბილისი, 2009.
14. ი. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი.
15. გ. გეთიაშვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, თედო ნინიძე - 65, საიუბილეო კრებული, სამართლის ჟურნალი N2, 2016.
16. მ. დავითაძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება და მისი კანონისმიერი შეზღუდვები, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, თბილისი, 2018.
17. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2016.
18. მ. ივანიძე, ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016.
19. გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015.
20. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015.

21. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები (დის..) თსუ, 2016.
22. ე. კოილი, პენიტენციური სისტემის მართვა უფლებათა პოზიციიდან - სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის, თბილისი, 2007.
23. მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013.
24. მ. ხმალაძე - მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი საზღვარგარეთის ქვეყნებში, საინფორმაციო ჟურნალი საქართველოს პატიმრობის კოდექსის პროექტისათვის, თბილისი, 2017.
25. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016.
26. მ. შალიკაშვილი, ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.
27. ი. ხერხეულიძე, პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი -85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014.
28. თ. ცქიტიშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016.

#### **უცხოენოვანი ლიტერატურა:**

1. Anton.M. van Kalmthout, Jack T. Derks, Probation and Probation Services, A Eu-ropean Perspective, Spain, Probation work in different stages of the criminal justice process, 2015.

- 2.H.Abadinsky, Probation and Parole, Theory and Practice, New York, 2009.
- 3.S.Stojkovic, R.Lovell,Corrections, An introduction, Anderson pub, Cincinnati, Ohio, 1992.
- 4.N.Moriss, M.Torny, Between Prison and Probation, New York, 1990.
- 5.R-P. Callies/H.Müller-Dietz,Strafvollzugsgesetz-Kommentar, München, 2000.
- 6.H.Blei, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983.
- 7.J. Klaus, Handbook on Probation Services, Rome/London, 1998.
- 8.A. Van Kalmthout, I. Durnescu, European Probation Service Systems, CEP, 2011.
- 9.Dunkel, Kommentierung§57,StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeff-gen (eds) Nomos Kommentarzum StrafgaseTzbuch.Vol.1 (3rdedn.). Baden-Baden: Nomos VERLAG 2010.

**სასამართლო გადაწყვეტილებები:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/5269-17.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის N3/7295-19 საქმეზე გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 5 მარტის N95/3254 საქმეზე გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის N3/5288-19 საქმეზე გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 დეკემბრის N3/6778-18 საქმეზე გადაწყვეტილება.

### **რეკომენდაციები და ანგარიშები:**

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, 2019.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია No.R (99)22, ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა.

### **ინტერნეტ - საიტები (ვებ-გვერდების მისამართები):**

<http://pja.gov.pk/system/files/Probation.pdf>.

[http://www.ehow.com/list\\_6505860\\_rules-juvenile-probation.html](http://www.ehow.com/list_6505860_rules-juvenile-probation.html)

### **ნორმატიული მასალა:**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე

გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.

„შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის N146 ბრძანება.